# სარბიელი

სპორტული გაზეთი · პარასკევი 11 აპრილი 2003 №64 (1835) · ფასი 50 თეთრი




# საქართველო ლოგიკური ქვეყანაა
## ვისაც ბევრი აქვს, მეტი უნდა

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მატჩებით განებივრებულებს ეგებ გადაგავიწყდათ, რომ ეს კვირა საქართველოშიც სათასო იყო.

უცხოურ ფეხბურთს თვალშეჩვეულებს მოგეხსენებათ, რომ ნაღდ ევროპაში სათასო შეჯიბრებებზე პატარა და უსახელო კლუბთა გალაღება ჩვეულებრივი ამბავია, ჩვენში კი სხვაგვარადაა, იგებენ ისინი, რომლებიც ჩემპიონატშიც უკეთესად თამაშობენ.

ოთხი ათასი გულშემატკივარი ამაოდ დაშვრა „დილას“ ქომაგობაში. „ტორპედომ“ მეტი ძალით აღმართი მოხნა და ნახევარფინალშიც გავიდა.

„სიონმა“ „სპარტაკი“ ბოლნისიდან სამი უპასუხო გოლით გამოისტუმრა, თბილისში ჩამოსულს კი თავი აღარ მოუკლავს, ისე წააგო, ნახევარფინალში გასვლაში ხელს რომ ვერ შეუშლიდა.

„ლოკომოტივმა“ ოდენ მეტოქის მოედანზე ვატანილი ბურთის წყალობით სძლია „მილანს“, თორემ მისი თამაში ისეთივე ხარისხიანი იყო, როგორიც გურჯაანის სტადიონის მოედანი.

მთლად რობერტო კარლოსივით არა, მაგრამ დინამოელი კარლოსის გარჯამ და მონადირებულმა პენალტმა ივო შუშაკის გუნდს „ვიტ ჯორჯია“ დააჯაბნინა.



ვიტ ჯორჯია — დინამო 1:1. დინამოელმა კარლოსმა ვიტელ დოლიძეს თავი წააქცევინა და მერლანის კარში პენალტი გავიდა

# უეფას თასს შეიძლება ფორმატი შეუმცირდეს
## პორტუგალია, პორტუ



პორტუ — ლაციო 4:1. რომაელი კიეზა ისევე წაიქცა, როგორც მთელი „ლაციო“



REUTERS

სელტიკი — ბოავიშტა 1:1. ჰენრიკ ლარსონმა ერთი კი გაიტანა, მაგრამ თერთმეტრიანი გააცუდა

## უეფას თასი. ნახევარფინალი
## პირველი მატჩები

**სელტიკი** (შოტლანდია) 1:1 **ბოავიშტა** (პორტუგალია)

0:1 ვალგაერენი (48ს.კ.), 1:1 ლარსონი (49)
*ლარსონმა ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)*
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, ტომპსონი, აგატი (სილა 74), ს. პეტროვი (დ. ფერნანდესი 78), ლენონი, ლამბერტი, ლარსონი, ჰარტსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ბოავიშტა: რიკარდუ, ავალოსი, პაულუ ტურა, ედერი, მარიუ, კლაუდიუ (კაფუ 46; ბოსინგვა 81), პედროსა (რუი ოსკარი 90), ფილიპე, მარტელინიუ, ე. ლიმა, დუდა ვენტურა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: დუდა ვენტურა, ავალოსი, ლენონი, მარტელინიუ, პაულუ ტურა, ბალდე
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
60 000 მაყურებელი

**პორტუ** (პორტუგალია) 4:1 **ლაციო** (იტალია)

0:1 ლოპესი (6), 1:1 რიბეირუ (10), 2:1, 3:1 დერლეი სილვა (27, 50), 4:1 პოსტიგა (56)
პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, დეკო სოუზა, მ. რიბეირუ, ალენიჩევი (ტიაგუ 83), პოსტიგა (მ. ფერეირა 59), დერლეი სილვა (იანკაუსკასი 86)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ლაციო: პერუცი, პანკარო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (კასტრომანი 69), ფიორე, სტანკოვიჩი, სიმეონე (ჟანიკედა 71), სეზარი, კ. ლოპესი, კიეზა (ს. ინძაგი 57)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფავალი, პანკარო, ფიორე, სეზარი, კასტრომანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
45 528 მაყურებელი

მგონი თვალსასეირო ამბების მომსწრენი შევიქნებით: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში მილანური დერბის და ესპანური სუპერკლასიკოს მოლოდინი გვაქვს, უეფას თასზე კი ვინძლო პორტუული ფინალი შეგვრჩეს. რატომაც არა.

პორტუში თამაში ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ „ლაციო" იგებდა, მაგრამ მერე რაც მოხდა, რომაელთა მტერს და პორტუგალიელთა მოყვარეს.

მეექვსე წუთზე ძველმა ვალენსიელმა კლაუდიო ლოპესმა უფრო ძველ ბარსელონელ ვიტორ ბაიას გაუტანა და გახარების მაგიერ „ლაციოს" ტანჯვაც აქედან დაიწყო.

ლოპესის გოლიდან ოთხ წუთში დერლეი სილვას პასით მანიჩე რიბეირომ იხეირა და ანჯელო პერუცის ოციოდე მეტრიდან გაუტანა. მასპინძელთა მეორე და მესამე გოლები კი თავად დერლეისა იყო. მან ჯერ კუთხურიდან ჩაწოდებულს მიუჩინა ადგილი, მერე კი პერუცის შეცდომით ისარგებლა – რომაელთა მეკარეს ბურთი გაუვარდა და დერლეიმაც დაასწრო.

მეოთხე ელდერ პოსტიგამ შეაგდო და მიწასთან გაასწორა უეფას თასის ხუთი წლის წინანდელი ფინალისტი.

თუ „პორტუს" ფინალში გასვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და დროის ამბად რჩება, მეორე ნახევარფინალურ წყვილში ყველაფერი წინაა, თუმცა გლაზგოში მიღწეული ფრით, ცხადია, კმაყოფილი „ბოავიშტა" დარჩა.

არადა, „სელტიკმა" ისევ მისიანთა უგერგილობით ვერ მოიგო. ჯერ იყო და, იოს ვალგაერენმა საკუთარ კარში ჩაჭრა ფილიპ ანუნსიასაოს ჩაწოდებული, მერე კი დიდმეგოლე ჰენრიკ ლარსონმა პენალტი გააფუჭა, რიკარდო პერეირამ მოიგერია. ხოლო თერთმეტმეტრიანი საჯარიმოში ელერის ხელით თამაშს მოჰყვა. კიდევ კარგი, პენალტის გაფუჭებამდე, ვალგაერენის ავტოგოლიდან ერთ წუთში, ლარსონმა სტილიან პეტროვის პასი შეირგო და ანგარიში გაათანაბრა.


ჰენრიკ ლარსონი

## პორტუ — ლაციო


ენრიკო კიეზა პორტუგალიელ მცველებთან ვერას გახდა

## სელტიკი — ბოავიშტა


ჯონ ჰართსონის მონდომება „სელტიკს" მოსაგებად არ ეყო

### გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXVI ტური
კილი 1:1 ესენი

### ჩეხეთი
თასის 1/8 ფინალი
ხომუტოვი 1:3 ჟიჟკოვი
ტეპლიცე 1:0 სიგმა

### კალათბურთი

## ევროლიგა
მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10 აპრილი

| F ჯგუფი | G ჯგუფი |
|---|---|
| მაკაბი 83:84 ბენეტონი | ოლიმპიაკოსი 55:58 ბარსელონა |
| | ოლიმპია 87:66 ვილერბანი |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები



ალესანდრო დელ პიეროს სტუმრები დიდად არ შეუწუხებია,
კატალონიელთა კაპიტანი კარლეს პუიოლი თავის საჯარიმოს კარგად იცავდა

## ასოციათას თერთმეტის წინააღმდეგ

**იუვენტუსი 1:1 ბარსელონა**

**1:0 მონტერო (16), 1:1 სავიოლა (78)**
**იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა (ზალაიეტა 67), კამორანეზი, ტაკინარდი, ტუდორი (ბირინდელი 60), დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 81)**
**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**
**ბარსელონა: ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი (ლუის ენრიკე 82), ხავი (ხერარდი 74), მოტა, რიკელმე (მენდიეტა 63), კლუივერტი, სავიოლა**
**მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი**
**გაფრთხილება: კლუივერტი, გაბრი, ბირინდელი**
**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**
**48 763 მაყურებელი**

თუ გნებავთ ქვა იყოს, თუ გნებავთ ასანთის კოლოფი ან ნებისმიერი სხვა რამ, მის შესახებ ერთი ერთს იტყვის, მეორე — მეორეს. ის ქვა ერთისთვის რომ ლამაზია, მეორესთვის უშნოა, მესამეს არაფრად სჭირდება და გადააგდებს, მეოთხე შინ წაიღებს და მისგან ისეთ მხატვრულ რამეს გააკეთებს, ქვეყანას აალაპარაკებს და ასე შემდეგ. ჰოდა, სად ქვა და სად ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი, თან ისეთი დიდი გუნდების შესრულებით, როგორიც „იუვენტუსი" და „ბარსელონა" არიან. განა გასაკვირია, ტურინულ თავსხმაში გამართულ ამ შეხვედრას სხვადასხვა გემოვნების თუ ინტერესების მქონე ადამიანებში სხვადასხვა ფიქრი რომ აეშალა?

ჩვენი დამოკიდებულება ასეთია: „იუვენტუსს" და „ბარსელონას" ფეხბურთის ლამაზ თამაში მართებთ, გასაგებია, რომ მატჩის ესთეტიურ მხარეს წვიმამ დაასვა ღალი, მაგრამ „იუვე" და „ბარსა", ვფიქრობთ, მაინც უფრო მაღლა უნდა იდგნენ.

„მეტოქისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვგონებ დღევანდელი მატჩის შედეგი მთლად სამართლიანი არ იყო — თქვა პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — „იუვენტუსმა" გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნა, ვიდრე „ბარსელონამ" და გამარჯვებას იმსახურებდა. ძალიან გამაბრაზა იმან, რომ გოლის გაშვების წინ მეტოქის მოედანზე ოთხი ორზე ვიყავით და ნაცვლად იქით გამწვავებისა, აქეთ დავისაჯეთ. ბოლო წუთებზეც ვერ გამოვიყენეთ რამდენიმე შესაძლებლობა, გაიხსენეთ ნედვედისა და დი ვაიოს მომენტები, მაგრამ მეორე მხრივ, ამ შეხვედრაში ამაზე უკეთ ვერ ვითამაშებდით. ერთი სიტყვით, რთულ დღეში ვართ. არ გვყავს დავიდ ტრეზეგე და ტრავმათა გამო ოსტატობის და გამოცდილების ნაკლებობასაც განვიცდით. ესპანეთში მძიმე მოგზაურობას ველი, მაგრამ კარგია, რომ იმ შეხვედრამდე გონს მოსაგებად 15 დღე გვაქვს".

ლიპის კოლეგამ, „ბარსელონას" სათავეში არცთუ დიდი ხნის წინ დანიშნულმა რადომირ ანტიჩმა კი თამაში ასე აღიქვა:

„დღეს იტალიური სტილის შეხვედრა იყო. პირველ ტაიმში კარგად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ იმით, რასაც შესვენების შემდეგ ვადევნე თვალი, კმაყოფილი დავრჩი. მართალია, „იუვენტუსზე" მეტად ჩვენ ვიცავდით თავს და მასპინძლებმა მომენტებიც ვერ გამოიყენეს, მაგრამ გარწმუნებთ, საპასუხო შეხვედრაში სულ სხვა „ბარსელონას" იხილავთ, ოღონდ, ამისთვის 120 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერა მჭირდება".

ერთი სიტყვით, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ბარსელონამ" მე-15 წააგებელი შეხვედრა ჩაატარა და „უკიდეგანო „კამპ ნოუზე" თამაშის წინ ნახევარფინალში გასვლის ფავორიტია. იქ, ნახევარფინალში, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედსა" და მადრიდის „რეალს" შორის გამარჯვებული შეხვდება — დავაზუსტოთ, „ბარსელონასა" და „იუვენტუსს" შორის გამარჯვებულს.

ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა. ეს ურუგვაელმა მცველმა პაოლო მონტერომ ახლოდან დარტყმით შეძლო — მომენტი ასეთი გახლდათ: მარცხენა მხრიდან პაველ ნედვედმა ჯარიმა ისე შეასრულა, რომ ბურთი შორეული ძელისკენ გაფრინდა, სადაც დელ პიერომ მაკრატელა დაარტყა. „ბარსას" მეკარემ, რობერტო ბონანომ ეს დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთი მონტეროსთან მიხტა და მანაც ზუსტად დაარტყა.

სხვათა შორის, ეს გახლდათ პირველი გოლი, რომელიც კატალონიელებმა ამ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში გაუშვეს, მაგრამ გოლის შემდგომმა ათმა წუთმა მასპინძელთა შეტევებით და მეორეს რისკით ჩაიარა.

შესვენებამდე სტუმრების კონტრშეტევები ორი შორეული დარტყმით ამოიწურა და ამ დარტყმებს „იუვენტუსის" მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა იოლად გაართვა თავი.

შესვენების შემდეგ კატალონიელებმა თამაში გააუმჯობესეს. 53-ე წუთზე მარკ ოვერმარსის წამოწყებული შეტევა ხავიერ სავიოლას დარტყმით და იმავ ბუფონის ყოჩაღი რეაქციით დასრულდა, თუმცა უპირატესობა მაინც მასპინძლებისა იყო — ედგარ დავიდსს და დელ პიეროს ჰქონდათ მომენტები.

დრო გადიოდა, „იუვე" მეორე გოლის გატანას აპირებდა, რისი დასტურიც ჯანლუკა ძამბროტას მაგივრად თავდამსხმელის, მარსელო ზალაიეტას შეყვანა გახლდათ, მაგრამ ... 78-ე წუთზე მარჯვნიდან წამოწყებულმა შეტევამ პატრიკ კლუივერტს ბურთის მიხაელ რაიციგერისთვის გადაწოდების საშუალება მისცა. მცველმა მასპინძელთა საჯარიმოში სავიოლას მიაწოდა ბურთი, 21 წლის არგენტინელმა კი გათავისუფლებული სივრცით ისარგებლა და ლიგის მიმდინარე გათამაშებაში თავისი მე-7 გოლი შეაგდო.

**პაპუნა ძედია**

## ნუ იქნებით სულელები

### მილანი ალბელდას ხილით გაუმასპინძლდა

**ინტერი 1:0 ვალენსია**

**1:0 ვიერი (14)**
**ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო (პასკუალე 31), ს. კონსეისაუ, ქ. ძანეტი, დი ბიაჯო, ემრე (ოკანი 66), ვიერი, კრესპო (კანავარო 84)**
**მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი**
**ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, მარჩენა, კარბონი, რუფეტე (მისტა 81), ალბელდა, ბარახა, აიმარი, ვისენტე (ფ. აურელიო 85), კარეუ (ანგულო 65)**
**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**
**გაფრთხილება: რუფეტე, კ. ძანეტი, პასკუალე, აიმარი**
**გაძევება: ემრე (57), ალბელდა (57)**
**მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**
**52 623 მაყურებელი**

კრისტიან ვიერის მიერ მე-14 წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა „ინტერს" საპასუხო მატჩის წინ გარკვეული უპირატესობა მისცა, ოღონდ ეს უპირატესობა ნახევარფინალში გასაღწევად ეყოფა თუ არა, ორი კვირის მერე „მესტალიაზე" გაირკვევა. სანსიროული შეხვედრა კი გუნდებმა ათათი ფეხბურთელით ჩაამთავრეს, რაკი გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა დავიდ ალბელდა და ემრე ბელოზოღლუ ჩხუბისთვის მოედნიდან მიაბრძანა. ასე იყო: პირველად ალბელდამ ჩასცხო, თურქმა უპასუხა, ჩხუბში ათიოდე სხვა ფეხბურთელიც ჩაება. გასახდელისკენ მიმავალ ვალენსიელს კი სტადიონზე მისულმა ხალხმა ბოთლები და ხილი დაუშინა. ალბელდას არაფერი მოხვედრია და მოედანზე დარჩენილებმაც ის ინციდენტი მალე დაივიწყეს.

ვიერი გოლი მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც ფრანჩესკო კოკომ წამოიწყო, ბურთი ემრეს გადააბარა, მან ერნან კრესპოს, ურუგვაელი ალვარო რეკობას ნაცვლად მოთამაშე არგენტინელმა კი ვიერი საგოლე პოზიციაზე გაიყვანა.

ისე, ექტორ რაულ კუპერმა, ცოტა არ იყოს და, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, სასტარტო შემადგენლობაში დაცვის ბურჯი ფაბიო კანავარო არ ათამაშა. კუპერმა ყოფილი პარმელი ბოლო ექვსი წუთითღა შეუშვა, რითაც ორი კურდღელი მოკლა. ერთი, რომ ახლად მომჯობინებული კრესპო ძლივსღა დალასლასებდა, სარგებლობა აღარ მოჰქონდა და შესაცვლელი იყო, მეორე კი ის, რომ ანგარიშის შესანარჩუნებლად, როცა „ვალენსია" გამალებული უტევდა, დაცვაში კანავაროს დარი ფეხბურთელის დამატება აუცილებელი გახლდათ.

„ვალენსიას" გააქტიურება ნახსენები ორმაგი გაძევების მერე დაეტყო. განა იქამდე არ უნდოდა, უბრალოდ მოედნის შუაგულში ემრე ზღვა სამუშაოს ასრულებდა და მისი გავლა ესპანელებს უჭირდათ. ჰოდა, სტუმრებმა სწორედ ძველი გალათასარაელის გაძევების შემდეგ გაიღალეს.

გოლის რამდენიმე სახიფათო მომენტიც მოჰყვა. ჯერ იყო და, ფრანსისკო რუფეტეს დარტყმული ოდნავ ასცდა ძელს, თორემ ტოლდო ან მისწვდებოდა, ან — არა. მერე პაბლო აიმარმა დაარტყა საჯარიმო მოედნის შიგნიდან და მეკარემ კარგი ნახტომით აიღო, მაგრამ საბოლოო ჯამში „ვალენსიას" არაფერი გამოსდიოდა და ბოლო წუთებზე აიმარმა ხრიკსაც მიმართა: „ინტერის" საჯარიმოში ოკანისგან შევიწროვებული წაიქცა და მსაჯს ისეთი თვალებით გახედა, მეტი როგორ უნდა წავიქცე, პენალტი რომ დანიშნოო. მარკუს მერკმა აიმარის მუდარა არ ისმინა და პენალტის მაგიერ ყვითელი ბარათით დააჯილდოვა.

რაც შეეხება „ინტერს", ბევრი მომენტი არ ჰქონია. ფაქტობრივად, ერთადერთხელ შეაწუხა სანტიაგო კანისარესი (საგოლე დარტყმის გარდა), როცა ემრეს პასით ვიერიმ ვერ ისარგებლა.

„მეტოქეზე მეტი მომენტი შევქმენით — დაიჩივლა ნამატჩევს „ვალენსიას" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა — სამწუხაროა, რომ ერთი გოლიც კი ვერ გავიტანეთ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ადრეული გოლის მერე „ინტერმა" ტაქტიკა შეცვალა, ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშა. ლამის მთელი გუნდით დაცვაში ჩადგნენ და კონტრშეტევებითღა მოდიოდნენ ჩვენი კარისკენ".

შანსებზე კი ბენიტესმა განაცხადა: „ნებისმიერ მატჩში მოგებას ვესწრაფვი, ამიტომ შედეგით კმაყოფილი ვერ დავრჩებოდი, თუმც მეორე მხრივ, 0:1 ის ანგარიში არ არის, იმედს რომ გადაგვიწურავს". ჩხუბის თაობაზე: „იმ ეპიზოდში ზუსტად რა მოხდა, არ დამინახავს. ისე კი, თამაშის წინ ფეხბურთელებს ვუთხარი, ყურადღებით იყავით, რამე სისულელე არ ჩაიდინოთ-მეთქი. სამწუხაროდ, ალბელდამ სწორედ სულელურად გააძევებინა მსაჯს თავი".

**გიორგი დარჯანია**



ჯოვანი პასკუალემ ვალენსიელი მიგელ ანხელ ანგულო ჰაერში ასწია






# ვერონის სიტყვა: ჩვენ ფინალში ვართ!
## რეალმა ბექემი გადაიფიქრა

*დევიდ ბექემმა მადრიდში ორთავა კუნთი დაიზიანა და ხვალ „ნიუკასლთან" შეიძლება ვერც ითამაშოს — ეს პირველი ამბავი: ცუდი თავად ფეხბურთელისთვის და „მანჩესტერისთვისაც".*

*„რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ბექემის ყიდვა გადაიფიქრა — ეს მეორე ამბავი: ცუდი თავად ფეხბურთელისთვის, მაგრამ კარგი „მანჩესტერისთვის".*

„ბექემის შესახებ რეფერენდუმი ფიგუმ და რაულმა მოიგეს" — წერს ესპანური გაზეთი „მარკა". მეორე გაზეთი, „ელ მუნდო", პირველ გვერდზე აცხადებს: ჩვენ უკვე გვყავს სფაისბიჭი: ლუიშ ფიგუ".

მოკლედ, ესპანური პრესა აღფრთოვანებულია და სულაც არ თვლის, რომ „რეალს" ბექემით გაძლიერება ესაჭიროება. ამავე აზრისაა ბექემის მეჯვარე და თანაკლუბელი გარი ნევილი: „მადრიდული კლუბი ზღაპრულ ფეხბურთს თამაშობს. შეუძლებელია ასეთ გუნდს პატივი არ სცე. ხანდახან ცხვირწინ ისე გვითამაშებდნენ ბურთს, მხოლოდ „ჰარლემ გლობტროტერსის" კალათბურთელებს რომ შეუძლიათ".

ამავე დროს, თავად ბექემი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელების მთავარ შეცდომად სწორედ „რეალისადმი" გადაჭარბებულ პატივისცემას თვლის: „უბედურება ის იყო, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" მოედანზე მასპინძლების უდიდესი პატივისცემით გავედით. მათ ისე ვუყურებდით, თითქოს მათ გვასწავლეს ფეხბურთის თამაში. „რეალმა" ამით ისარგებლა და პირველ ტაიმში გაილაღა. კიდევ კარგი, ვან ნისტელროიმ გვიშველა და შანსი დაგვიტოვა".

სერ ალექსის შეგირდებს შანსი მართლაც დარჩათ — ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ 2:0 უნდა მოიგონ, მაგრამ ორი კვირის მერეც რომ იმავე ზღაპრულ „რეალს" ხვდებიან და არა ვინმე სხვას? „ბევრს 1999 წელი გაახსენდა, როცა „იუვენტუსთან" თითქოს ყველაფერი დაკარგული გვქონდა, მაგრამ მაინც ჩვენ ვიმარჯვეთ — ამბობს ინგლისელთა ირლანდიელი კაპიტანი როი კინი — ცხადია, ამის გახსენებაც იმედს გვაძლევს, თუმცა „რეალი" ორი თავით სჯობს იმდროინდელ „იუვენტუსს". ამის მიუხედავად, ჩვენ მანამ ვიბრძოლებთ, სანამ ჩემპიონთა ლიგას რეალურად არ გამოვეთიშებით. იმედი ბოლოს კვდება".

მანჩესტერელი ფანობა კი ყველაზე მეტად არგენტინელმა ხუან სებასტიან ვერონმა შეაგულიანა. 28 წლის პლეიმეიკერს, ვინც მადრიდული მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ეიმედება, რომ საპასუხო შეხვედრაში ორგაფრთხილებიან პოლ სქოულზს შეცვლის და „რეალს" შავ დღეს აყრის: „რეალს" ჰგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ეს ასე არაა. მე ვპირდები გულშემატკივრებს, რომ „მანჩესტერი" ფინალში გავა" — აცხადებს რომის კლინიკიდან დაბრუნებული ვერონი და თვლის, რომ მადრიდელთა 2:0 დამარცხება სქოულზისა და გარი ნევილის გარეშეც შეიძლება: „აი, 0:3 რომ წაგვეგო, სხვა ამბავი იქნებოდა, მაგრამ ვან ნისტელროის გოლმა გვიხსნა. ისე, ბევრი რამ ფიგუს გოლმა გადაწყვიტა — მანამდე დაახლოებით 10 წუთი, თამაში ჩვენი იყო და იმავ ნისტელროის მომენტიც ჰქონდა" — თქვა არგენტინელმა, ვინც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 4 გოლის გატანა შეძლო.

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ ბოლო ათწლეულის ჩემპიონთა ლიგის საპლეიოფო მატჩებში მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, როცა შინ მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა საპასუხო შეხვედრაში გაბათილდა: სამი წლის წინ „ბარსელონამ" ლონდონში „ჩელსისთან" წაგებული 1:3 „კამპ ნოუზე" 5:1-ით გააცამტვერა.

**გიგა ძოზახიძე**

# სენსიმ და კაპელომ რომა დაგეგმეს







ფაბიო კაპელომ სტეფან აპია ფრანკო სენსის დაანახა

ტრიგორიის ბაზაზე, სადაც „რომა" ვარჯიშობს, ფაბიო კაპელო და ფრანკო სენსი შეხვდნენ ერთმანეთს და დიდხანს ისაუბრეს. შევახსენებთ, პირველი მწვრთნელია, მეორე კი პრეზიდენტი. საუბრის თემა ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „რომას" გეგმები გახლდათ, რაც პირდაპირ კავშირშია გუნდის მომავალ სეზონში თამაშთან.

დაცვით დავიწყოთ, იქამდე კი ვიტყვით, რომ მომავალ სეზონში „რომა" 4-3-2-1 სქემით აპირებს თამაშს. გუნდიდან ალბათ წავა ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი კაფუ. მის შემცვლელად კაპელოს ასევე ბრაზილიელი, ალესანდრო მანჩინი ეგულება, რომელიც „რომას" საკუთრებაა, თუმცა იჯარით „ვენეციაში" თამაშობს. მაგრამ ის საკმარისი არ არის და დაცვის ცენტრის გასაძლიერებლად რომაელებს რა ხანია დაუდგამთ თვალი კიევოელი ლეგროტალიესთვის. კაპელოსა და სენსის შეხვედრაზე სხვა გვარიც ითქვა: „სან პაულუში" მოთამაშე გუსტავო ნერი.

ნახევარდაცვა. ამ ხაზს კაპელო ასე ხედავს: ემერსონი, ოლივიე დაკური, სტეფან აპია. მოგეხსენებათ, ემერსონი და დაკური რომაელები არიან, აპია კი „ბრეშაში" თამაშობს, თუმცა „პარმას" საკუთრებაა. ესე იგი, სენსის სწორედ პარმელებთან მოუწევს დალაპარაკება ამ ფეხბურთელის გადაბირების თაობაზე.

თავდასხმაში კი კაპელო ახალ ხალხს არ საჭიროებს, ძველებურად ფრანჩესკო ტოტის და ანტონიო კასიანოს იმედადაა. მონტელა და დელვეკიო ალბათ, სათადარიგოებად იქნებიან, ხოლო მარაცინას კლუბი გაყიდვას უპირებს.

**ქოტე ქექელია**

# ზეედორფს ფეხთან ბურთი აუკრძალეს

**ტუნისელ** ჰატემ ტრაბელსისთან შეჯახება ძვირად დაუჯდა „მილანის" ჰოლანდიელ ნახევარმცველ კლარენს ზეედორფს.

„აიაქსთან" მატჩის შემდეგ „მილანის" ექიმი ჟან-პიერ მირსიმანი, კლარენს ზეედორფი და ანდრეა პირლო ამსტერდამიდან პირდაპირ ანტვერპენში გაფრინდნენ და ამ ბელგიური ქალაქის სამედიცინო კლინიკის პროფესორ მარტენსს მიაკითხეს.

პროფესორმაც მილანელ ნახევარმცველებს გამოკვლევა ჩაუტარა და დიაგნოზიც დასვა: პირლოს მარჯვენა მუხლი აწუხებს, თუმც საშიში არაფერია. ტრავმა სერიოზული არ არის, ცოტა ხანს დასვენება სჭირდება, 8-10 დღეში ფეხბურთელი სავსებით გამოჯანმრთელდება. აი, ჰოლანდიელის საქმე კი რთულადაა. მას მარჯვენა მუხლის მყესები აქვს დაზიანებული, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ბურთს ფეხსაც ვერ მიაკარებს, კიდევ ერთი თვე კი აღდგენით პროცესს დასჭირდება.

მოკლედ, ვერ გამოიტანა მირსიმანმა პროფესორის კაბინეტიდან კარგი ამბავი. ზეედორფი წლეულს ფეხბურთს ფაქტობრივად გამოეთხოვა, სეზონის დასრულებამდე ხომ სწორედ ორი თვეა დარჩენილი.

ახლა „მილანის" ლაზარეთში სამ ფეხბურთელია: ზეედორფი, პირლო და ბრაზილიელი როკე ჟუნიორი. სამი დღის წინ თავი დააღწიეს არგენტინელებმა — ფერნანდო რედონდომ და ხოსე ანტონიო შამოტმ, აგრეთვე ჩვენებური კახა კალაძე. „მილანის" ოფიციალურ ვებ-გვერდში ვკითხულობთ: „კლუბის სამედიცინო მედპერსონალის უმთავრესი მიზანი ქართველი კალაძის საბოლოოდ მოკეთება და მწყობრში ჩადგომაა. შაბათს „ინტერთან" მილანური დერბისთვის კარლო ანჩელოტის მისი ძალიან ეიმედება."



**გიორგი გუზაძიძე**

სეზონის წინა ამხანაგურ შეხვედრაში, რომელშიც „DC იუნაიტედი" „ამერიკან იუნივერსიტის" ეთამაშებოდა, ამ უკანასკნელის ნახევარმცველი, ფრედი ლორენა საშინლად დაშავდა — მარჯვენა ფეხზე ორი ძვალი მოტყდა. საზარელი სცენის დანახვაზე მსაჯმა თამაში შეწყვიტა და აღარ გაუგრძელებია. ლორენას დაშავების მომენტს სამი კამერა იღებდა. ასე რომ, ამერიკული „მეიჯორ სოკერ ლიგის" წარმომადგენლებს ინციდენტის დაწვრილებითი ანალიზის შესაძლებლობა მიეცათ. ამასთან, მათ მოწმეებსაც ჰკითხეს, რა და როგორ მოხდა, რის შედეგადაც დაასკვნეს:

„ანონიმურად მოქმედმა კომისიამ იხილა და მოისმინა ყველაფერი ლორენას დაშავებასთან დაკავშირებით. ის დარწმუნდა, რომ მიუხედავად ტრავმის ტრაგიკულობისა, შემთხვევა აშკარად საფეხბურთო გახლდათ და ორ ფეხბურთელს შორის ბურთისთვის ბრძოლის გამო წარმოიშვა".

მაგრამ ასეთი ინციდენტი სასჯელს მაინც მოითხოვს. ის, რომ დანაშაული განზრახ არ ჩაუდენიათ, მის ჩამდენს, ალბათ მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, სპორტული სანქციები კი...

სანქცია ასეთი გახლდათ: 2 ათასი დოლარი და ჩემპიონატის ორი ტურის შეხვედრებში დისკვალიფიკაცია, ხოლო ვის, ეს ყველაფერი, როგორც ხედავთ, ბოლოსთვის შემოვინახეთ:

ვის და 1992 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, 1990 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელს, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს. ხომ გახსოვთ?

**ბაჩუნა ძედია**

# გამოიცან, რომელია
## ისევ ის ხრისტოაა...



# დანაშაული და სასჯელი

## დოსტოევსკი ბავარიულად ჯერ არ უთარგმნიათ

## ამპარტავანი ბაიერნი სერია A-ში?






კარლ-ჰაინც რუმენიგე და ფრანც ბეკენბაუერი ბუნდესლიგის დატოვებით იმუქრებიან

გერმანულ ფეხბურთში სკანდალი მწიფდება — გერმანიის საფეხბურთო ლიგა (DFL) დღე-დღეზე ვერდიქტს გამოუტანს მიუნხენის „ბაიერნს", რომელსაც საიდუმლო გარიგება აკავშირებდა გაკოტრებულ „კირხმედიასთან" და ამით ცენტრალური მარკეტინგის პრინციპებს უღალატა.

ამბავი ერთი თვის წინ გასკდა და პრესაშიც გაჟონა. მაშინ „ბაიერნი" თავს არც კი იმართლებდა — „კირხთან" თუ კერძო გარიგება დავდეთ, ვისი რა საქმეაო. არადა, პირველ და მეორე ბუნდესლიგის კლუბები DFL-ის საშუალებით დაუკავშირდნენ „კირხს", რომელმაც მათგან ტელეტრანსლაციების უფლება შეიძინა.

სკანდალის ცეცხლი და ნავთი კი ასეთია: თუ DFL „ბაიერნს" გაამტყუნებს და დასჯის, ბავარიელები ბუნდესლიგაზე და გერმანიის თასის გათამაშებაზე უარის თქმით იმუქრებიან — სერია A-ში გადავბარგდებით და თქვენს ნაცვლად „იუვენტუსს", „მილანს", „რომასა" და „ინტერს" ვეთამაშებითო — ამის შესახებ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა „ბაიერნის" პრეზიდენტყოფილმა ფრანც ბეკენბაუერმა.

კლუბის ახლანდელი თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე შედარებით დიპლომატიური აღმოჩნდა და თქვა, მიმდინარე ბუნდესლიგაში ქულების დაკლება ჩვენთვის მიუღებელი ვერდიქტი იქნება და საპასუხოდ გერმანულ ფეხბურთს გამოვეყოფითო.

მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ მხოლოდ ქულების ჩამოკლებაზე როდია ლაპარაკი. ვინძლო „ბაიერნს" იმ ფულის უკან დაბრუნება მოსთხოვონ, რომელიც კლუბმა „კირხთან" კერძო გარიგების შედეგად მიიღო — 21,5 მილიონი ევრო.

ჰოდა, კაიზერ ფრანციც ამითია შეშფოთებული: „ასეთ შემთხვევაში ბუნდესლიგა ნახავს, თუ როგორია უჩვენოდ ცხოვრება."

საკითხავია ისიც, დართავს კი უეფა „ბაიერნს" იტალიურ ლიგაში ბურთაობის ნებას? ანუ დიდი შანსია, მოსალოდნელმა სკანდალმა უეფაც ჩაითრიოს — „ბაიერნი" და მისი ქარიზმიანი ღიღმიხელმძღვანელები გადაფურთხებულის ამლოკავი ხალხი ნაღდად არ არიან.

დაველოდოთ აპრილის გერმანულ, ქარიშხლიან დღეებს.

**დავით თავართქილაძე**

# ბლატერმა მოგება დათვალა

## რა გინდათ ბირჟაზე?!

**ციურიხში** ფიფას უფროსობა შეიკრიბა და ორგანიზაციის ისტორიაში პირველად, ჟურნალისტთა თანდასწრებით, შემოსავალ-გასავალი დაითვალა. დასათვლელი კი ბევრი იყო, 1999-დან 2003 წლამდე მიღებული შემოსავალი და დახარჯული ფულტ.

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თანასაქმოსნეებს დიდი ზარ-ზეიმით აცნო, ჩვენი შემოსავალი 115 მილიონი შვეიცარიული ფრანკით (82 მილიონი დოლარი) გაიზარდა და ახლა სპეციალურ ფონდებში 222 მილიონი ფრანკი გვაქვს გადანახულიო. ისიც თქვა, ჯერ სად ხართ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, დასტურ დაანგარიშებული გვაქვს, 170 მილიონით კიდევ გაგვამდიდრებსო.

ამავე სხდომაზე ბლატერმა ძველი ამბავიც გაამხილა, რასაც თავის დროზე საგულდაგულოდ მალავდა, უფრო სწორად კი, უარყოფდა, თორემ ისედაც ყველამ იცოდა. კერძოდ, შარშან მაისისთვის, ანუ კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე, ფიფას ბიუჯეტში 134-მილიონი დეფიციტი ჰქონდა და მხოლოდ მუნდიალის არნახულმა ფინანსურმა წარმატებამ გამართა წელში. და რატომ უარყოფდა ბლატერი კრიზისს? რა გამოცნობა უნდა — იმ პერიოდში გასამართი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყოდა, მართალია, ორგანიზაცია მიკოტრდება, მაგრამ მეორე ვადით მაინც ამირჩიეთო. ახლა კი ბლატერს არარაფერი ემუქრება და ძველი ცოდვების გამხელაც შეუძლია.



თავისი გამოსვლის ბოლოს ბლატერმა ევროპული საკლუბო ფეხბურთის კრიტიკას მიჰყო ხელი. პრეზიდენტი გამორჩეულად იმას აღუშფოთებია, ზოგმა კლუბმა საფონდო ბირჟებზე რომ გაიტანა თავისი აქციები: „საკლუბო ფეხბურთი კრიზისშია. კლუბების დიდი ნაწილი ვალებში იხრჩობა. ამასთანავე ვფიქრობ, რომ საბირჟო ოპერაციებში მათი მონაწილეობა სწორი არ არის. საფეხბურთო კლუბის საქმიანობის შედეგი მოედანზე უნდა ჩანდეს და არა ბირჟებზე. დავუშვათ, აქციათა ფასი დაეცა, მერე რა უნდა ქნან?" კლუბების დასაშინებლად ბლატერმა „ლიდსი" გაიხსენა, რომლის ვალი უკვე 79 მილიონ გირვანქას გაუტოლდა.

ბოლოს დავძინოთ, რომ გადატაკებულ კლუბებს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ექცევიან. მაგალითად, ბერძნული პირველი დივიზიონის „იანინას" მისმა 18-მა ყოფილმა ფეხბურთელმა ფედერაციაში უჩივლა, ძველი ხელფასები ვერ მივიღიაო. ფედერაციამ კლუბს... 56 ქულა ჩამოაკლო და რაკი „იანინას" ოდენ 19 ქულა ჰქონდა, ჩემპიონატში თამაშის გაგრძელება მინუს 37 ქულით მოუწევს.

**ირაკლი ნინიძე**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**სტოკი 2:0 როტერჰემი**

1:0 ჰარმპერსტი (21), 2:0 კუკი (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 40 | 25 | 11 | 4 | 84:38 | 86 |
| ლესტერი | 41 | 25 | 11 | 5 | 67:35 | 86 |
| შეფილდი | 40 | 20 | 10 | 10 | 63:44 | 70 |
| ნოტინგემი | 40 | 19 | 11 | 10 | 73:41 | 68 |
| ვულვზი | 41 | 18 | 13 | 10 | 69:38 | 67 |
| რედინგი | 40 | 21 | 4 | 15 | 50:40 | 67 |
| იფსვიჩი | 41 | 16 | 13 | 12 | 67:54 | 61 |
| ნორვიჩი | 41 | 17 | 10 | 14 | 55:45 | 61 |
| უიმბლდონი | 41 | 15 | 11 | 15 | 66:67 | 56 |
| ჯილინგემი | 41 | 14 | 13 | 14 | 53:61 | 55 |
| უოტფორდი | 41 | 15 | 9 | 17 | 49:61 | 54 |
| როტერჰემი | 41 | 14 | 11 | 16 | 55:55 | 53 |
| მილუოლი | 40 | 15 | 8 | 17 | 46:59 | 53 |
| კრ. პალასი | 41 | 12 | 16 | 13 | 51:46 | 52 |
| პრესტონი | 40 | 13 | 13 | 14 | 62:61 | 52 |
| ბარნლი | 40 | 14 | 10 | 16 | 60:75 | 52 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| ქოვენთრი | 40 | 12 | 12 | 16 | 44:54 | 48 |
| დერბი | 40 | 13 | 7 | 20 | 48:63 | 46 |
| უოლსოლი | 40 | 12 | 7 | 21 | 51:65 | 43 |
| სტოკი | 41 | 9 | 14 | 18 | 40:64 | 41 |
| ბრაიტონი | 41 | 10 | 10 | 21 | 42:60 | 40 |
| გრიმსბი | 41 | 9 | 10 | 22 | 44:76 | 37 |
| უენსდი | 41 | 7 | 14 | 20 | 44:68 | 35 |

## პოლონეთი

**მე-20 ტური:** პოლონია — გარბანია 2:1; ოდრა — ზაგლებე 3:0; ოსტროვიცი — გროცლინი 1:3; პლოცკი — ლეხი 0:0; ამიცა — ვიძევი 1:0; ვისლა — ლეგია 2:1; გურნიკი — პოგონი 9:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატოვიცე | 20 | 14 | 2 | 4 | 26:11 | 44 |
| ვისლა | 20 | 13 | 4 | 3 | 53:24 | 43 |
| ოდრა | 20 | 13 | 4 | 3 | 39:22 | 43 |
| გროცლინი | 20 | 11 | 6 | 3 | 35:21 | 39 |
| ლეგია | 20 | 10 | 7 | 3 | 35:21 | 37 |
| გურნიკი | 20 | 7 | 8 | 5 | 36:19 | 29 |
| ამიცა | 20 | 7 | 7 | 6 | 29:24 | 28 |
| პოლონია | 20 | 8 | 4 | 8 | 27:33 | 28 |
| რუხი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:26 | 24 |
| ლეხი | 20 | 5 | 8 | 7 | 25:24 | 23 |
| პლოცკი | 20 | 5 | 6 | 9 | 19:26 | 21 |
| ზაგლებე | 20 | 5 | 5 | 10 | 22:27 | 20 |
| გარბანია | 20 | 5 | 5 | 10 | 30:40 | 20 |
| ვიძევი | 20 | 4 | 6 | 10 | 17:30 | 18 |
| ოსტროვიცი | 20 | 4 | 3 | 13 | 18:40 | 15 |
| პოგონი | 20 | 1 | 3 | 16 | 11:52 | 6 |


ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება

**ბილიარდი**

პული, რუსული პირამიდა, სნუკერი




**აქსესუარები**

1000-ზე მეტი დასახელება

სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის

მაღაზია სალონი WWW.billiard.ge

ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. (ყოფ. კამო) № 2



**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80


Copa Toyota Libertadores '2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### I ჯგუფი. V ტური

**ლიბერტადი (პარაგვაი) 0:2 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

0:1 დალესანდრო (81), 0:2 კავენაგი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| რივერ პლეიტი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ლიბერტადი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 4 |
| ემელეკი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:13 | 4 |

*„დეპორტივო კალი" და „რივერ პლეიტი" გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*

### VI ჯგუფი. V ტური

**რასინგი (არგენტინა) 4:1 ნასიონალი (ურუგვაი)**

1:0 პერალტა (12), 2:0 დ. მილიტო (22), 3:0, 4:0 რუედა (52, 66), 4:1 ბენოიტი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| ნასიონალი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| უნივერსიტარიო | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| ორიენტე პეტროლერო | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

*„რასინგი" გავიდა შემდეგ ეტაპზე*

### VIII ჯგუფი. VI ტური

**სთრონგესტი (ბოლივია) 0:2 კორინთიანსი (ბრაზილია)**

0:1 ლიდსონი (34), 0:2 ლეანდრო (39)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 15 |
| კრუზ ასული | 6 | 3 | 0 | 3 | 12:11 | 9 |
| ფენიქსი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:14 | 6 |
| სთრონგესტი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | 6 |

*„კორინთიანსი" და „კრუზ ასული" გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია** **ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15


MOLINA EN EXCLUSIVA
"El 'Mono' me dijo que ahora jugamos en el mismo equipo"

MARCA

BECKHAM NOS RESPONDE A LA GRAN PREGUNTA

¿QUIERES JUGAR EN EL MADRID?

Se lo pensó bastante y gesticuló durante diez segundos antes de contestar


BARÇA EL CESE DE VAN GAAL

Llega al Camp Nou a la hora de siempre

Anuncia el final de su etapa

Van Gaal, punto final

"Me voy con tristeza por no cumplir con las expectativas de la afición"

LAS FRASES

El entorno y la presión implicaron a los jugadores mostrar su calidad

Por esto cambié mi opinión, para no perjudicar a la entidad

Lo hicimos todo para que esto funcionara. Estoy decepcionado


SPORT

EL MEJOR CINE DE ACCIÓN CON SPORT

GOL DE ORO DE SAVIOLA EN DELLE ALPI

¡PODEMOS SOÑAR!

Decidirá Mestalla

Obligados a ganar

LAS SEMIFINALES DE LA CHAMPIONS, MAS CERCA

El Barça logró un extraordinario empate y Antic asegura que "el público, en el Camp Nou, marcará un gol"

1-1

Tarifa plana 24H

19,90 €/mes

Date de alta en www.ya.com

„მარკა" ესპანეთში ყველაზე გაყიდვადი გაზეთია, „სპორტმა" კი ლუის ვან გაალის გაშვებაშიც შეიტანა წვლილი, ხოლო „ბარსელონას" ტურინში არწაგებას ასე გამოეხმაურა: „მოდი, დავიჯეროთ!"

# PRESS

## ვეშაპთა ხახაში ცხოვრება ძნელია

### ობიექტურობა მთავრდება იქ, სადაც მეგობრობა იწყება

*ამჟამად ესპანეთში ბევრი სპორტული გაზეთი გამოდის, მაგრამ ხუთი აშკარად გამორჩეულია. აი, ეს ხუთეული: „მარკა" და AS მადრიდშია, „ელ მუნდო დეპორტივო" და „სპორტი" — ბარსელონაში, ხოლო „კამპეონი" — ლა კორუნიაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი გაზეთები ესპანურ საფეხბურთო „სუფრაზე თამადობენ". ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან ნებისმიერი მდიდარი თუ გავლენიანი კლუბებისგან. იქაური ჟურნალისტები წერენ, რასაც ფიქრობენ, თუმცა იმაზეც ფიქრობენ, რა დაწერონ და რა — არა.*

ტირაჟის მიხედვით „მარკა" ლიდერია. ყოველდღიურად დაახლოებით 2 მილიონ 2 ათასი ცალი იყიდება. 40-მილიონიანი ქვეყნისთვის ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. შემდეგ რიგში დგანან AS (839 ათასი), „ელ მუნდო დეპორტივო" (459 ათასი) და „სპორტი" (447 ათასი). ტირაჟის გაზრდა ესპანური კლუბების აღმავლობას (1999-2003) დაემთხვა. იმავდროულად „მარკამ" საკუთარი რადიოსადგური გახსნა, რომელსაც მადრიდისა და ბილბაოს გარდა, სევილიაში, ლა კორუნიაში, ვიგოსა და კანარის კუნძულებზეც უსმენენ. „რადიო მარკას" მსმენელთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა.

კლუბებსა და სპორტულ გაზეთებს შორის ურთიერთობა დამყარებულია პრინციპზე: „ობიექტურობა მთავრდება იქ, სადაც მეგობრობა იწყება". რა თქმა უნდა, „მარკა" და AS თავისი გვერდების უმეტესობას მადრიდის „რეალს" უთმობს, ისევე, როგორც „ელ მუნდო დეპორტივო" და „სპორტი" — „ბარსელონას", მაგრამ მიკერძოებაზე საუბარი სისულელეა. ზოგჯერ „მარკა" „რეალს" უფრო მეტად შეახურებს, ვიდრე „ბარსელონას" ან პირიქით, „ელ მუნდო დეპორტივო" „ბარსას" „რეალზე" მეტად „გააშავებს".

მადრიდისა და ბარსელონას სპორტულ გაზეთებს შორის კონკურენცია არსებობს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხანდახან ეს კონკურენცია სიტყვიერ ომში გადაიზრდება. აი, ბოლო მაგალითი: „ბარსელონასა" და „რეალის" ბოლო მატჩში „კამპ ნოუზე" გოჭის თავიც რომ გადააგდეს, გეხსომებათ. კატალონიელებმა მადრიდელი კოლეგები შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულეს. მარკელებმა „კამპ ნოუზე" მოწყობილი არეულობის გამო სტადიონის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოითხოვეს და ბარსელონელი ჟურნალისტებიც ამ ამბავმა გაახელა.

ესპანურ პრესას რეალური ძალა აქვს, რასაც კლუბების პრეზიდენტებიდან მწვრთნელებამდე ყველა გრძნობს. ამასთან პირენეელი კალმოსნები საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის ზრუნავენ. კლუბთა ოფიციალურ წარმომადგენლებს თითოეულ სიტყვაზე დიდი დაფიქრება მართებთ, რათა შემდეგ პრესის გასაქილიკებელნი არ გახდნენ. საკმარისია, ვინმეს რაიმე სისულელე წამოსცდეს, გაზეთები მაშინვე აიტაცებენ და პირველ გვერდებზე სათანადო კომენტარებით გამოიტანენ.

გამორიცხულია, რომ ოფიციალური პირი საჯაროდ სიტყვის სათქმელად შეზარხოშებული გამოჩნდეს. „პრესკონფერენციაზე ნასვამი მწვრთნელი? — ის მეორე დღესვე მხოლოდ თანამდებობას კი არა, საერთოდ ფეხბურთს დაემშვიდობება" — თქვა ერთ-ერთმა ესპანელმა ჟურნალისტმა.

კალმოსნებს მთავარი მწვრთნელები ყოველთვის სამიზნეზე ჰყავთ და თუ რომელიმეს ფეხი დაუცდა, იმწამსვე კრიტიკას „დაახლიან". ცხადია, სხვებზე მეტად ესპანეთში მომუშავე უცხოელ სპეციალისტებს უჩხიკინებენ.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ლუის ვან გაალი მოექცა. მან თავიდანვე ამაცერად გახედა ჟურნალისტებს და ეს საკმარისი გამოდგა მტრების გასამრავლებლად. ვან გაალი ესპანეთის გეოგრაფიაზე, ისტორიასა და კულტურაზე საუბარში ბევრ შეცდომას უშვებდა და მეორე დღესვე მისი მონაჩმახი საყოველთაო დაცინვის საგანი ხდებოდა. როცა მიმდინარე სეზონში „ბარსელონა" უკან-უკან წავიდა, კატალონიელებმა ხუან გასპარი ამოიჩემეს. ბარსელონას სპორტული გაზეთების პირველ გვერდებზე „კამპ ნოუზე" გამოტანილი ლოზუნგები გამოჩნდა: „თქვენს გარშემო ყველაფერი ყარს, წადით და აღარასოდეს დაბრუნდეთ!"

როგორც 2000-ში, წლეულსაც პრესამ ლუის ვან გაალის მოხსნაში ლომის წილი დაიდო. ჰოლანდიელმა ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა: „იმისთვის, რომ „ბარსელონას" ახალი მწვრთნელის საქმეები კარგად აეწყოს, პირველ რიგში ურთიერთობა პრესასთან უნდა გაარკვიოს".

2003 წლის იანვარში ესპანელი კალმოსნების სამიზნე სანტანდერის „რასინგის" მეპატრონე და მწვრთნელი დმიტრი პიტერმანი გახდა. ულიცენზიო მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობაში მესამე დივიზიონიდან მიწვეული ფეხბურთელები ათამაშა და „პროგრესულ" ტაქტიკურ სქემას 4-2-4, ხანაც 5-0-5 — ქადაგებდა. ყველაზე რბილი მეტსახელი, რომელიც პიტერმანს შეარქვეს, „ჯადოქარი" იყო. გაზეთებში ახალგამოცხვარი მწვრთნელის ბიოგრაფიის შავ-ბნელი ეპიზოდებიც გამოაქვეყნეს, თუმცა პიტერმანი არ დაბნეულა და წივილ-კივილი არ აუტეხავს. მადრიდულ „მარკასთან" ინტერვიუში მშვიდად ჩამოაყალიბა მისეული ხედვა. მიუხედავად ამისა, მისი მოღვაწეობის გამო კრიტიკა კი არ ჩაცხრა, კიდევ უფრო გამძაფრდა.

თავის დროზე პრესამ ალიყური მადრიდის „ატლეტიკოს" თავკაცს, არიგო საკისაც „აჭამა". იტალიელი სპეციალისტი გაზეთებს იქით უტევდა, გუნდში ატმოსფეროს აფუჭებენო. არანაკლები ტანჯვა გამოიარა „ვალენსიას" იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ, ხოლო მადრიდის „რეალში" ჯონ ტოშაკის ხელმეორედ დაბრუნებას ცხრილში „სამეფო კლუბის" დაქვეითება და უელსელის დაცინვა მოჰყვა.

თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ვისენტე დელ ბოსკე შედარებით წყნარ ატმოსფეროში მუშაობს, თუმცა დაზღვეული არაა. ესპანელი ჟურნალისტები, მაგალითად, თურქი კოლეგებისგან განსხვავებით, მეტად კორექტულები არიან და კრიტიკის ობიექტთა პიროვნული ღირსებების შეურაცხყოფას არ იკადრებენ. მათ კარგად იციან, რომ კლუბებში გაზეთებს კითხულობენ და თუ იქ გადაბრუნებული სიტყვა ნახეს, სასამართლო და სასჯელი არ ასცდებათ.

**გაგა ხუციშვილი**

# ფრთხილად, თქვენ გელით სლოვაკური



სანდერლენდის პოლიციამ თურქი ქომაგები კი დაიცვა, მაგრამ თავისიანები მოედანზე გაეპარა

შარშან, სლოვაკეთი — ინგლისის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისას, ადგილობრივი ქომაგები ინგლისელთა შავკანიან ფეხბურთელებს რასისტული შეძახილებით რომ გაუმასპინძლდნენ, უეფასგან დისკვალიფიკაციაც მიიღეს — სლოვაკებმა ერთი მატჩი ცარიელ სტადიონზე უკვე ჩაატარეს და ერთსაც კიდევ ჩაატარებენ.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლა თავად ინგლისელები გახდნენ აგრესორები. მიხვდებოდით, ლაპარაკი ინგლის — თურქეთის მატჩზე გვაქვს, რომლის დროსაც, სანდერლენდის სტადიონზე, უკვე ინგლისელებმა შეურაცხყვეს თურქები და არა მხოლოდ ტრიბუნებიდან — ყველაზე თავზეხელაღებულები მოედანზეც კი ჩახტნენ.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ საგანგებოდ სთხოვა უეფას ამ საქმის გამოძიება, თუმცა შეეძლო, არც ეთხოვა, ცხადია, რომ უეფა ინციდენტს ისედაც გამოიძიებდა.

გუშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში უეფადან წერილი მიიღეს, რომელშიც ევროპული ფეხბურთის მმართველები ატყობინებენ, თქვენს საქმეს პირველ მაისს უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განვიხილავთ, მაგრამ აქედანვე იცოდეთ, უსასჯელოდ ვერ გადარჩებითო. იქამდე, 21 აპრილამდე, ინგლისელებმა უეფას მომხდარის თაობაზე საკუთარი ვერსია უნდა წარუდგინონ. ჰოდა, სლოვაკები თუ თავში ნახსენები სასჯელით დაისაჯნენ, ვინძლო ინგლისსაც მსგავსი ბედი ერგოს.

აქ უპრიანია ავღნიშნოთ, რომ მომდევნო მატჩი ინგლისის ნაკრებს, მიდლსბროს „რივერსაიდზე" აქვთ სწორედ სლოვაკეთის ეროვნულ გუნდთან.

ისე, უეფამ თურქებიც გააფრთხილა, თქვენი ფეხბურთელები მატჩის შემდეგ გვირაბში მთლად ღირსეულად არ მოქცეულან და სასჯელს თქვენც ელოდეთო.

**ირაკლი ნინიძე**

# ფიფამ ომი დაასრულა

### ჭაბუკებს ისევ საამიროებში ელიან

მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონატი წლეულს ნოემბერში ჩატარდება დათქმულ დგილასო — ბრძანა ფიფამ. დათქმული ადგილი კი არაბთა გაერთიანებული საამიროებია.

ჩემპიონატი 25 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გადაიდო. ხოლო მიზეზით თუ დაინტერესდებით, გიპასუხებთ, რომ ალბათ არ გაგიგიათ, საამიროების მეზობლად, ერაყში, ომია და თავის დაზღვევის მიზნით, ტურნირის გადადება უპრიანი იყო.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩემპიონატი 27 ნოემბერს დაიწყება და 13 დეკემბერს დასრულდება. „იმ დროისთვის უსაფრთხოების სრული გარანტია გვექნება, ამიტომ კმაყოფილებით ვაცხადებ, რომ ჩემპიონატის საამიროების ნაცვლად, ერაყიდან უფრო მეტი მანძილით დაშორებულ ქვეყანაში გამართვის საჭიროება არ არის" — თქვა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

შეგახსენებთ, რომ ჭაბუკებად 20-წლამდელი ფეხბურთელები ითვლებიან, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატი მეთოთხმეტედ იმართება, მონაწილეთა რაოდენობა კი ოცდაოთხია. ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს არგენტინა ფლობს.

# ქართველები მეროვნულზე

## დაფელები თასისთვის დაფდაფებენ

### შოტლანდია

**თასის 1/4 ფინალი გადათამაშება**

**დანდი 4:1დ.დ. (1:1) ფოლკირკი**

0:1 ს. ტეილორი (32), 1:1 კაბალიერო (44), 2:1 ბერზილი (94), 3:1, 4:1 ლოველი (99, 107)

დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი, ერნანდესი, რაე (ბრედი 115), სმიტი, ნემსაძე, ნოვო (ბერზილი 76), ფ. კაბალიერო, მილნი (ლოველი 75)

ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებულია

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

**რეინჯერსი 3:0 დანფერმლაინი**

1:0 ლოვენკრანდსი (4), 2:0 ფერგიუსონი (19), 3:0 არტეტა (54)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, მალკოლმი, ლ. ამორუზო, ნუმანი (ნ. მაკკანი 65), არტეტა, კონტერმანი, ბ. ფერგიუსონი (შ. არველაძე 73), რ. დე ბური (კანიჯა 67), მოლსი, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

**1/2 ფინალის წილისყრა**

19 აპრილი. „ჰემპდენ პარკი"

რეინჯერსი — მოზერუელი

20 აპრილი. „ჰემპდენ პარკი"

ინვერნესი — დანდი

**ყველაფერი** კარგად გაგრძელდა — ნახევარფინალში „რეინჯერსი" გამლიგინდა, „დანდი" კი გაძვრა, ხოლო „სელტიკი" რა ხანია, მეოთხედფინალიდან დაიფრინეს.

ზურაბ ხიზანიშვილისა და გიორგი ნემსაძის „დანდის" კვლავაც შეუძლია უეფას თასის საგზურისთვის იოცნებოს — ასოციაციის თასის გამარჯვებულს ამ ტურნირზე გზა ხსნილი აქვს, ფინალისტს კი ნურას უკაცრავად.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს ორივე მატჩი გადათამაშება გახლდათ — სამი კვირის წინ „დანდიცა" და „რეინჯერსიც" სტუმრად თამაშობდნენ ამ გუნდებთან და ორივემ ფრედ, 1:1 ჩაამთავრა მატჩები.

„ფოლკირკი" პირველი დივიზიონის ლიდერი გახლავთ და „დენს პარკზეც" დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჯიმ დაფის გუნდს.

„ფოლკირკის" შუახაზელი სტუარტ ტეილორი უცნაურად შეიმართა და ძნელად მოსათვინიერებელი ბურთი უხერხული პოზიციიდან ზუსტად ცხრიანში გაისროლა, თანაც 25 იარდიდან.

დანარჩენ გოლებზე საუბრით არც თქვენ დაგღლით — ბურთები ფიზიკის კანონების სრული დაცვით გავიდა.

ლაღად იკუნტრუშა „რეინჯერსმა" და მოსალოდნელზე ადვილად დატუქსა „დანფერმლაინი". ამ სეზონში „ჩაფრების" მთავარმეგოლე ბარი ფერგიუსონმა მე-18 გოლი შეაგდო, თუმცა სილამაზის მხრივ ყველას მიკელ არტეტასი სჯობდა — BBC-იმ ბასკის გოლს ჭკვიანური უწოდა — არტეტამ დაწოლილ მეკარეს ზემოდან გადაავლო ბურთი.

ნახევარფინალები ნეიტრალურ სტადიონზე გაიმართება. დაფელები „სელტიკის" 1:0-ით მძლეველ და პირველდივიზიონელ „ინვერნესს" 20 აპრილს გაეჯიბრებიან გლაზგოს „ჰემპდენზე" — ამ არენას შოტლანდიაში ეროვნულ სტადიონსაც უწოდებენ, რომლის მინდორსაც ერთი დღით ადრე „რეინჯერსი" და „მოზერუელი" დაქაცვავენ.

**დავით თავართქილაძე**

*მაშ ასე, დიდი შანსია „დანდი" და „რეინჯერსი" შოტლანდიის ასოციაციის თასის ფინალში ერთმანეთს გადაეყარნონ — აქეთ ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე, იქით შოთა არველაძე. ჰოდა, ნემსაძესა და არველაძეს მოსალოდნელი დაპირისპირების გარდა, სხვა თემებზეც გავესაუბრეთ*

# სკამზე ვინ არ მჯდარა?!

შოთა არველაძე



**— ბოლო მატჩებია „რეინჯერსის" სასტარტოში ვერ ხვდები და რას დააბრალებდი ამას?**

— რა ვიცი, ალექს მაკლიშმა ასე გადაწყვიტა, პირადად ჩემთვის კი არაფერი უთქვამს.

**— „ტრაბზონსფორი", „აიაქსი" და „რეინჯერსი" — აქამდე არ მომხდარა, რომ ამ გუნდების ძირითადში კონკურენციის გამო ვერ მოხვედრილიყავი. ახლა რა ხდება?**

— ოთხი თამაშია, რაც მწვრთნელი სასტარტოში არ მაყენებს — ძალიან ძნელი ყოფილა, სასტარტოში მოხვედრის მოლოდინში რომ ხარ. მაგრამ არაუშავს, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ისე, „დანფერმლაინთან" კარგად ჩავერთე თამაშში და ერთი კარგი მომენტიც მქონდა — სამი მეტოქე მოვატყუე, მაგრამ მერე ბურთი ძელს მოვარტყი.

**— მაკლიშთან პირადად არ გისაუბრია შენს სასტარტოში არყოფნაზე — როგორც ჩანს, ამას ჯერჯერობით ძალიან არ განიცდი.**

— სანამ ფეხბურთის თამაში შეგიძლია, ძალიან ძნელია, ასეთ რამეს შეურიგდე. ერთის მხრივ კი, ამით კარგ გამოცდილებასაც იძენ.

**— თუ არც მომდევნო მატჩებში იქნები სასტარტოში, „რეინჯერსიდან" წამოსვლაზე არ დაფიქრდები?**

— ამაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, სათადარიგოთა სკამზე ვინ არ მჯდარა. მხოლოდ ოთხ თამაშში არ ვყოფილვარ ძირითადში და ასეთ დროს ძნელია, რაიმე პრეტენზიები გამოთქვა. არა მგონია ისე მოხდეს, რომ „რეინჯერსიდან" წამოსვლა დავაპირო.

**— სასტარტოში ვერმოხვედრის მთავარი მიზეზი ის ხომ არაა, რომ ბევრ საგოლე მომენტს აცუდებ?**

— შესაძლოა, მაგრამ ფორვარდს რომ საგოლე მომენტები აქვს, ესეც არაა უმნიშვნელო. თანაც ზამთრის შესვენების მერე სულ რაღაც მაწუხებდა — ხან საზარდული, ხან წვივის კუნთი. ახლა ნელ-ნელა ჯანზე მოვდივარ, თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**— როგორ ფიქრობ, ასეთ სიტუაციაში ივო შუშაკი რუსეთთან 30 აპრილის მატჩისთვის გამოგიძახებს?**

— არ ვიცი, დაველოდოთ, რა მოხდება.

**— სასტარტოში არც შვეიცარიასთან მატჩში იყავი...**

— პირველად მოხდა, რომ ნაკრების მატჩში სათადარიგო გახლდით. ალექსანდრე ჩივაძემ ანგარიში გამიწია, როცა ცალკე მიხმო თამაშიდან ორი დღით ადრე და თავისი გადაწყვეტილება გამაცნო.

**— შოტლანდიას დავუბრუნდეთ, თუ ფინალში გახვალთ და იქ „დანდი" შეგხვდებათ, ფავორიტი უპირობოდ „რეინჯერსი" იქნება?**

— „დანდი" ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობს. თანაც ეს ფინალია, ერთი მატჩი და ის ძალიან რთული იქნება — მასში ყველაფერი უნდა ჩადო.

გიორგი ნემსაძე



# შესისხლხორცება და დატუქსვა დანდიში

**— პირველდივიზიონელი „ფოლკირკის" დამარცხება ასე რატომ გაგიჭირდათ?**

— თასზე ერთი თამაშის კარგად ჩატარება, ალბათ ყველა გუნდს შეუძლია, „ფოლკირკიც" ძალიან ბრძოლისუნარიანი და გააზრებულად მოთამაშე გუნდი აღმოჩნდა. თანაც, როცა ჩვენი დაცვის შეცდომის გამო გოლი გავუშვით, საქმე ამან ერთი-ორად გაგვირთულა. მეორე ტაიმში თამაში შედარებით გაგვიადვილდა, თუმცა გამარჯვებას მაინც დამატებით დროში მივაღწიეთ.

**— „სელტიკისა" და „რეინჯერსის" გარდა, შოტლანდიის პრემიერლიგისა და პირველი დივიზიონის გუნდებს შორის დიდი სხვაობა არ არის?**

— საქმე ისაა, რომ თასის ფინალში გასვლით „ფოლკირკსაც" უჩნდებოდა უეფას თასის საგზურის მოპოვების შესაძლებლობა.

**— ნახევარფინალში ასევე პირველდივიზიონელი გუნდი გელით, თუმცა „ინვერსენმა" მეოთხედფინალში „სელტიკი" დაამარცხა...**

— „ინვერსენი" საქმეში არ მინახავს, თუმცა როგორც ამბობენ, იგივე გაქანების გუნდია, რაც „ფოლკირკი". როგორც უნდა იყოს, ეს ნახევარფინალი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იქნება ჩვენთვის.

**— თუ „დანდი" ფინალში გავა, არის ის „რეინჯერსის" მომგები?**

— პოტენციურად „რეინჯერსი" ჩვენზე მართლაც ძლიერი გუნდია, მაგრამ ეს ხომ ფინალია, როგორც ჩვენ გაგვიჭირდა „ფოლკირკთან", ისევე გაუჭირდება „რეინჯერსს" „დანდისთან", თუ, რა თქმა უნდა, ფინალში ჩვენ გავალთ — ჯერ ხომ ნახევარფინალი გვაქვს გასავლელი.

**— გასულ უქმეებზე „დანდიმ" „სელტიკს" ორი ქულა აართვა და საჩემპიონო შანსები შეუმცირა. ბევრს მიაჩნია, რომ „სელტიკი" მთლიანად უეფას თასზეა გადართული და ამის გამო აქვს ჩავარდნები საშინაო ფრონტზე...**

— ვერ ვიტყვი, რომ „სელტიკი" ჩვენს წინააღმდეგ თამაშისას მოდუნებული და მოშვებული იყო. ვგრძნობდით, რომ ამ ფრეს სელტიკელები ძალიან განიცდიდნენ. ჩვენ კი მოგებაც შეგვეძლო — 1:1-ის შემდეგ 3-4 კარგი მომენტი გავაცუდეთ.

**— „დანდის" ბოლოდროინდელი წარმატებების მიზეზი უპირველესად გუნდის დამრიგებელი ჯიმ დაფია?**

— რა თქმა უნდა. დაფიმ „ფოლკირკთან" ორი თავდამსხმელი თავდამსხმელებითვე შეცვალა და ამან ძალიან კარგი შედეგი მოიტანა. აქ ალბათ გამართლების ფაქტორიცაა, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. დაფი მიზანს პირველ რიგში თავისი პრინციპების წყალობით აღწევს, თორემ გუნდის ხარისხი შესაძლოა, არც ისე მაღალი იყოს. დაფი ვარჯიშებზე ცდილობს ფეხბურთელების ერთმანეთში შეთამაშებას, ამას ძალიან პრინციპულად ითხოვს და თუ არ დაუჯერებ, მყისვე დატუქსავს — ის ძალიან მომთხოვნია. ჩვენ მისი დავალებები შესისხლხორცებული გვაქვს და თამაშის დროსაც გადაგვდის.

**— შუშაკმა რომ ნაკრებში არ გამოგიძახოს, გული დაგწყდება? ჩათვლი, რომ უსამართლოდ მოგექცნენ?**

— თუ არ გამომიძახებენ, როგორც სპორტსმენს, გული დამწყდება. მამაჩნია, რომ ამ კონკრეტული ეტაპისთვის კარგად ვარ მომზადებული.

**დავით თავართქილაძე**

# მუჯირი ჩერნიშოვს არ გამორიცხავს

## შუშაკს გაუჭირდება, მაგრამ შეუძლია

*რუსული სააგენტოების ცნობით, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც ანდრეი ჩერნიშოვს გრაცის „შტურმმა" შესთავაზა გუნდის გაწვრთნა. ამ კლუბში კი, მოგეხსენებათ, დავით მუჯირი თამაშობს.*

*ჩვენც გუშინვე „შტურმის" ქართველ ნახევარმცველს ავსტრიაში დავუკავშირდით და თავიდან ამ ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ*

— ასეთი რამ ნაღდად არ გამიგია. აქაური გაზეთებიც არაფერს წერენ ჩერნიშოვის შესახებ და კლუბშიც მსგავსი რამ არ უთქვამთ.

**— საერთოდ თუ ფიქრობს კლუბის ხელმძღვანელობა ფრანკო ფოდას გათავისუფლებას?**

— არა მგონია, სეზონის ბოლომდე ასე მოხდეს. ვფიქრობ, ფოდას მაინც ჩაამთავრებინებენ ჩემპიონატს და მის შემცვლელზე ლაპარაკი ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ისე კი, მთლად გამორიცხული არც ჩერნიშოვის „შტურმის" სათავეში მოსვლაა. ის ფეხბურთელობისას აქ თამაშობდა და კარგად იციან, რა შეუძლია. თან, როგორც ვიცი, ჩერნიშოვს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც არა აქვს ურიგო შედეგები.

**— ფრანკო ფოდას თუ დაითხოვენ, ალბათ, „შტურმის" ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაშების გამო...**

— ბოლო ხანს მართლა ვერ ვთამაშობთ კარგად. ქვეყნის თასზეც დავმარცხდით „აუსტრიასთან", მაგრამ ვფიქრობ, ეს ჩავარდნა დროებითია. თან მეორე ადგილზე გასვლის შანსი ჯერაც არ დაგვიკარგავს. ამიტომ, ჩემი აზრით, ახლა მწვრთნელის შეცვლა გაუმართლებელი იქნება.

**— ახლა მეოთხე ადგილზე ხართ. როგორ ფიქრობთ, შეუძლია „შტურმს" მიზნის მიღწევა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება?**

— ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. წარუმატებლობები უნდა დავივიწყოთ და საქმეს ხელი მოვკიდოთ. ამაში გვარიან როლს მომავალ ტურში „რიდთან" მატჩიც ითამაშებს. აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**— საქართველოს ნაკრებზე რას იტყვი?**

— გავიგე რომ ალექსანდრე ჩივაძე გადადგა და მის ადგილზე ივო შუშაკი დანიშნეს. ხორვატს არ ვიცნობ, მაგრამ ბიჭებისგან ვიცი, რომ ცუდი მწვრთნელი არაა. ახლა ნაკრებს ურთულესი მატჩი ელის რუსეთთან და, ცხადია, ასე მალე შუშაკს გაუჭირდება, ნაკრებს თავისი ხელი დაატყოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსებს ვერ უნდა მოვუგოთ. თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შესაძლებელია. იმედი მაქვს, შუშაკი შეძლებს ქართველი გულშემატკივრების გახარებას.

**— შენი სანაკრებო მომავალი როგორ წარმოგიდგენია შუშაკის მწვრთნელობისას?**

— ალბათ, მწვრთნელს ეყოლება ისეთი თანაშემწეები, ვინც ლეგიონერებზე საჭირო ცნობებს მააწვდიან. ამ წუთში ნაღდად ვერ ვიტყვი, რა იცის შუშაკმა ჩემზე.

**კახა შალამბერიძე**



დავით მუჯირი



ანდრეი ჩერნიშოვი

# დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები**

თბილისი. 10 აპრილი. 16 საათი. მაყურებელი. 2 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:1 დინამო

პირველი მატჩი 0:1

1:0 მელქაძე (20), 1:1 ანჩაბაძე (75პ)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, გველესიანი, მუჯირი, დილმელაშვილი, დ. დოლიძე (ბოლქვაძე 85), კვახაძე (ე. მერებაშვილი 81), ვ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე (ფეიქრიშვილი 88), ადამია, მელქაძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ლ. მერებაშვილი, მარცვალაძე
**მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი

**დინამო:** გვარამაძე, კარლოსი (ბურდული 87), ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, შაშიაშვილი, ანჩაბაძე, ახალაია (გ.გ. მიქაძე 23, კანდელაკი 78), დარასელია, ალექსიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაშაკიძე, ა. ხახვაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** ნოზაძე (25), კვახაძე (40), კარლოსი (61), ალექსიძე (65), მუჯირი (87)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 17-13; კუთხური: 3-6; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 3-1; თამაშგარე: 2-5

# მანწკავას საქმე კარლოსმა დახურა

**კობა ინასარიძე**

**გახსოვთ** „მანწკავას საქმე"? სწორედ ამ გუნდებს შორის 18 მარტს გამართული პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ ატყდა ერთი ამბავი და ფეხბურთის ფედერაციის შედგენილი სათასო გათამაშების დებულების უსუსურობაც ერთხელაც დამტკიცდა. „ვიტ ჯორჯიამ" პირველი მატჩის შედეგი გააპროტესტა, „დინამოს" განაცხადში ისეთი ფეხბურთელი ჰყავდა, ვისაც დებულებით უფლება არ ჰქონდა მატჩის მონაწილე ყოფილიყო. ეს საჩივარი სადისციპლინო კომიტეტმა ერთხელ რომ განიხილა, მტყუან-მართლის გარჩევა გაუჭირდა, მეორედ კი უეფადან მოსული წერილის შესაბამისი ვერდიქტი გამოიტანა და პირველი მატჩის შედეგი 1:0 ხელუხლებლად დატოვა.

ამ გახმაურებული ამბის შემდეგ „დინამომ" „ვიტ ჯორჯიას" საჩემპიონატო მატჩში ერთხელაც უმასპინძლა და ისევ გამარჯვებული დარჩა — 3:1.

და გუშინ მესამე სერია იყო — თასის საპასუხო მატჩი, ისეთი, როგორსაც ამ გუნდებისგან ნაჩვევი ვართ. დაძაბული, ემოციებით სავსე დღესდღეობით, ალბათ, ორი საუკეთესო ქართული გუნდის მონაწილეობით.

„დინამომ" საკმაოდ თამამად დაიწყო — სამი თავდამსხმელით, თუმც, აქვე ვთქვათ, ალექსიძესა და დარასელიას ახალაია ოდნავ უკნიდან ეხმარებოდა.

| 18.00 | 2033 | ტორინო-პიაჩენცა | 3,3 | 2,0 | 3,1 | 1,24 | 1,59 | 1,21 |
| 18.00 | 2034 | უდინეზე-ბრეშა | 2,25 | 2,05 | 5,0 | 1,07 | 1,55 | 1,45 |
| 23.30 | 2035 | ბოლონია-იუვენტუსი | 4,0 | 2,0 | 2,6 | 1,33 | 1,57 | 1,13 |
| 15.00 | 2036 | უელვა-ალავესი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1.54 | 1,33 |
| 20.00 | 2037 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1.07 | 1,5 | 1,5 |
| 20.00 | 2038 | მალიორკა-რასინგი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 21.00 | 2039 | სელტა-ბეტისი | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 21.00 | 2040 | რაიო-ბილბაო | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 22.00 | 2041 | სოსიედადი-რეალი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 21.00 | 2042 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2.25 | 2,05 | 5,0 | 1,07 | 1,55 | 1,45 |
| 23.30 | 2043 | ვალენსია-ოსასუნა | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,5 |
| 052 | მანჩესტერი | 2,0 |
| 055 | ნიუკასლი | 12,0 |

**იტალია. სერია A**
**12 აპრილი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,3 |
| 062 | ინტერი | 3,0 |
| 061 | მილანი | 3,5 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**12 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,05 |
| 072 | სოსიედადი | 4,0 |
| 074 | დეპორტივო | 4,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**11 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,1 |
| 081 | მარსელი | 2,7 |
| 083 | მონაკო | 2,7 |
| 089 | ბორდო | 3,0 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 15,0 |
| 084 | ოსერი | 15,0 |
| 086 | ნიცა | 30,0 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**12 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**12 აპრილი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,3 |
| 192 | სლავია | 2,6 |

**თურქეთი. I ლიგა**
**11 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 | გალათასარაი | 2,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (19.00)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,2 |
| 142 | სელტიკი | 3,3 |

**დანია. სუპერლიგა**
**12 აპრილი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,15 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,4 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**12 აპრილი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,2 |
| 161 | ბაზელი | 3,3 |

**კალათბურთი NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 4,4 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 | ინდიანა | 12,0 |
| 241 | დეტროიტი | 12,0 |
| 242 | პორტლენდი | 12,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 244 | მინესოტა | 25,0 |
| 238 | ბოსტონი | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 40,0 |
| 246 | ფინიქსი | 50,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | |
| 18.30 | 2507 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2508 | არმინია-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2509 | ბაიერნი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2510 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2511 | ჰერტა-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2512 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2513 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2514 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2515 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2516 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2517 | ჩელსი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2518 | ლიდსი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2519 | ლივერპული-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2520 | სიტი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2521 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2522 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2523 | კომო-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2524 | ინტერი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2525 | სევილია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2526 | ბარსელონა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 20.30 | 2527 | შალკე-კოტბუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2528 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2529 | ატალანტა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2530 | ემპოლი-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2531 | მოდენა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2532 | რომა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2533 | ტორინო-პიაჩენცა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2534 | უდინეზე-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2535 | ბოლონია-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 15.00 | 2536 | უელვა-ალავესი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2537 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2538 | მალიორკა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2539 | სელტა-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2540 | რაიო-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2541 | სოსიედადი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2542 | მალაგა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2543 | ვალენსია-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2407 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,6 | 2,4 |
| 18.30 | 2408 | არმინია-მიუნხენი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 2409 | ბაიერნი-ვერდერი | 1,25 | 3,6 |
| 18.30 | 2410 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 2411 | ჰერტა-ბოხუმი | 1,25 | 3,6 |
| 18.30 | 2412 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 2413 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2414 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 2415 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2416 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 2417 | ჩელსი-ბოლტონი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 2418 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,65 | 2,3 |
| 19.00 | 2419 | ლივერპული-ფულემი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2420 | სიტი-მიდლსბრო | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2421 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2,3 | 1,65 |
| 19.00 | 2422 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2423 | კომო-პერუჯა | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2424 | ინტერი-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 22.00 | 2425 | სევილია-ვილიარეალი | 1,65 | 2,3 |
| 00.30 | 2426 | ბარსელონა-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2427 | შალკე-კოტბუსი | 1,2 | 4,0 |
| 20.30 | 2428 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2429 | ატალანტა-რეჯინა | 1,55 | 2,5 |
| 18.00 | 2430 | ემპოლი-კიევო | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2431 | მოდენა-ლაციო | 2,1 | 1,75 |
| 18.00 | 2432 | რომა-პარმა | 1,65 | 2,3 |
| 18.00 | 2433 | ტორინო-პიაჩენცა | 1,9 | 1,9 |
| 18.00 | 2434 | უდინეზე-ბრეშა | 1,6 | 2,4 |
| 23.30 | 2435 | ბოლონია-იუვენტუსი | 2,2 | 1,7 |
| 15.00 | 2436 | უელვა-ალავესი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 2437 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,6 | 2,4 |
| 20.00 | 2438 | მალიორკა-რასინგი | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2439 | სელტა-ბეტისი | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2440 | რაიო-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 22.00 | 2441 | სოსიედადი-რეალი | 1,95 | 1,85 |
| 21.00 | 2442 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,65 | 2,3 |
| 23.30 | 2443 | ვალენსია-ოსასუნა | 1,4 | 3,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2207 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,9 | [illegible] |
| 18.30 | 2208 | არმინია-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2209 | ბაიერნი-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2210 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2211 | ჰერტა-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2212 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2213 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 16.30 | 2214 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2215 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2216 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2217 | ჩელსი-ბოლტონი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2218 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2219 | ლივერპული-ფულემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | სიტი-მიდლსბრო | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2222 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2223 | კომო-პერუჯა | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2224 | ინტერი-მილანი | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2225 | სევილია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2226 | ბარსელონა-დეპორტივო | 2,0 | 1,6 |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2227 | შალკე-კოტბუსი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2228 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2229 | ატალანტა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2230 | ემპოლი-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2231 | მოდენა-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2232 | რომა-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2233 | ტორინო-პიაჩენცა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2234 | უდინეზე-ბრეშა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2235 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| 15.00 | 2236 | უელვა-ალავესი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2237 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2238 | მალიორკა-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2239 | სელტა-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2240 | რაიო-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2241 | სოსიედადი-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 2242 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2243 | ვალენსია-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2307 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.65 | 1.95 |
| 18.30 | 2308 | არმინია-მიუნხენი | 1,65 | 1.95 |
| 18.30 | 2309 | ბაიერნი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2310 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2311 | ჰერტა-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2312 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2313 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.65 | 1,95 |
| 16.30 | 2314 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2315 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,75 | 1.85 |
| 19.00 | 2316 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2317 | ჩელსი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | ლივერპული-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2320 | სიტი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2322 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2323 | კომო-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2324 | ინტერი-მილანი | 1,6-2,0 | |
| 22.00 | 2325 | სევილია-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2326 | ბარსელონა-დეპორტივო | 1,6-2,0 | |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2327 | შალკე-კოტბუსი | 1.75 | 1,85 |
| 20.30 | 2328 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2329 | ატალანტა-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2330 | ემპოლი-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2331 | მოდენა-ლაციო | 1.7,1,9 | |
| 18.00 | 2332 | რომა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2333 | ტორინო-პიაჩენცა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2334 | უდინეზე-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2335 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 15.00 | 2336 | უელვა-ალავესი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2337 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2338 | მალიორკა-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2339 | სელტა-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2340 | რაიო-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2341 | სოსიედადი-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2342 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2343 | ვალენსია-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2107 | მ.გლადბახი-ნიურნბ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2108 | არმინია-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 2109 | ბაიერნი-ვერდერი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 2110 | კ.ლაუტერნი-ჰანზა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2111 | ჰერტა-ბოხუმი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 10,0 | 12,0 |
| 18.30 | 2112 | შტუტგარტი-ლევერკ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 2113 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 2114 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2115 | ბირმინგემი-სანდერლ. | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2116 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 2117 | ჩელსი-ბოლტონი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2118 | ლიდსი-ტოტენჰემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2119 | ლივერპული-ფულემი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 19.00 | 2120 | სიტი-მიდლსბრო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2121 | ვ.ბრომვიჩი-ევერტონი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 2122 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2123 | კომო-პერუჯა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2124 | ინტერი-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.00 | 2125 | სევილია-ვილიარეალი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 2126 | ბარსელონა-დეპორტივო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2127 | შალკე-კოტბუსი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.30 | 2128 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 2129 | ატალანტა-რეჯინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 2130 | ემპოლი-კიევო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2131 | მოდენა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 2132 | რომა-პარმა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2133 | ტორინო-პიაჩენცა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2134 | უდინეზე-ბრეშა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 2135 | ბოლონია-იუვენტუსი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 15.00 | 2136 | უელვა-ალავესი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 2137 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2138 | მალიორკა-რასინგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 2139 | სელტა-ბეტისი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 21.00 | 2140 | რაიო-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 22.00 | 2141 | სოსიედადი-რეალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 2142 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 2143 | ვალენსია-ოსასუნა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46

(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბროკომ შემდეგზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30 კვირა 12.00-20.30

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

*ზაზა ფაჩულიამ „ულქერის" ხელმძღვანელობას გუშინწინ საბოლოოდ დაუმტკიცა, რომ არაა თურქეთის, თუნდაც საუკეთესო გუნდის სათადარიგო სკამზე ჯდომის ღირსი. ევროლიგის მორიგ ტურში, ქართველმა ცენტრმა მოქმედი ჩემპიონი და ახლაც საჩემპიონო ამბიციების მქონე „პანათინაიკოსი", არ მოვერიდებით ამ სიტყვას და, გადაქელა. თამაშს მოწყურებული ფაჩულია ბერძენთა საამაყო გუნდის ვერც ერთმა ცენტრმა ვერ შეაჩერა — პაპადოპულოსიცა და მიდლტონიც ზაზამ ხუთ-ხუთი პერსონალურით გაისტუმრა მოედნიდან და საბოლოოდ 26 ქულით დატუქსა ევროჩემპიონები. ნამატჩევს ალარავის ახსოვდა „ულქერის" განთქმული ცენტრი ჯოზეფ ბლერი, სტამბოლელ ქომაგს ახალი კერპი ჰყავდა და „ზაზა, ზაზასაც" ხმისჩახლეჩამდე გაჰყვიროდა...*

# ეს გურჯი სხვაგან იყურება... თურქებმა იციან, რა უდევს გულში ზაზა ფაჩულიას



ზაზა ფაჩულიას კარგი თამაში თურქებს ემცხეთათ

— სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმ მძაფრ შეგრძნებებს, ამ მატჩისას და მისი დასრულების შემდეგ რომ განვიცადე. ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ იგი „პანათინაიკოსთან" შეხვედრას დაემთხვა — გვითხრა გუშინ ფაჩულიამ, სტამბოლში რომ დავუკავშირდით.

**— აქამდე ევროლიგის მატჩებში რამდენიმე წუთით თუ გაყავდი მწვრთნელს მოედანზე, ახლა კი ერთბაშად 36 წუთი გათამაშა...**

— სამი დღით ადრე ვიცოდი, რომ ხუთეულში ვითამაშებდი. „ულქერის" ძირითად ცენტრ ჯოზეფ ბლერს ფეხი სტკიოდა და მწვრთნელმა მითხრა, აბა, შენ იცი, „პანათინაიკოსთან" არ შეგვარცხვინოო.

**— 19 ქულით მოგებული მატჩის შემდეგ რაღა გითხრა...**

— პრესკონფერენციაზე გულითადად შემაქო, თავის გამორჩენა მომილოცა და ასე გააგრძელეო, მითხრა.

**— პირადად არ დაგლაპარაკებია?**

— საღამოს დამირეკა და მითხრა, შაბათს „გალათასარაისთანაც" ხუთეულში იქნები და მოემზადეო.

**— შაბათამდე ბლერი რომ მომჯობინდეს, მაინც ხუთეულში ითამაშებ?**

— არ ვიცი, ეგ მწვრთნელის გადასაწყვეტია, მან კი, როგორც გითხარი, არჩევანი უკვე გააკეთა.

**— „პანათინაიკოსთან" მატჩს მივუბრუნდეთ. პრაქტიკის უქონელს, არ გაგიჭირდა ძლიერ მეტოქესთან თამაში?**

— თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, ვგრძნობდი, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. თამაში რომ არ წაგვსვლოდა და წაგვეგო, ყველა იმას იტყოდა, ბლერი არ იყო და იმიტომაც დავმარცხდითო. ასეთ შემთხვევაში ჯოხი, ცხადია, ჩემზე გალატყდებოდა, მწვრთნელიც იფიქრებდა, სწორად ვიქცეოდი, ფაჩულიას ბლერს რომ ვაჯობინებდიო.

**— ჯობნაზე ჩამოვარდა სიტყვა და, შენ რომ „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ ჩაატარე, ასეთ შედეგიან თამაშს ჯოზეფ ბლერისგან ვერ ვიხსენებ...**

— ამ თამაშით არაფერი შეცვლილა, ჯორდანი არ გავმხდარვარ. მე არ ვუყურებ იმას, ბლერზე უკეთ ვითამაშებ, თუ უარესად. უბრალოდ, ასე თუ გავაგრძელებ, ჩემს ადგილს მოვნახავ.

**— შენთვის ეს არ იყო პირველი წარმატებული თამაში. ბოლო მატჩებშიც საკმაოდ შედეგიანად ირჯებოდი...**

— ამ ბოლო დროს მართლა კარგად ვთამაშობ. უფრო სწორად, მათამაშებენ და მეც ჩემსას ვცდილობ. „პანათინაიკოსამდე" თურქეთის ჩემპიონატში „ოიაქს" 24 ქულა ჩავუგდე, მანამდე „ტელეკომს" — 13, ითუ-ს — 17... არ მინდა ჩემს მიღწევებზე ბევრი ლაპარაკი, უბრალოდ, ცოტა მეტი ხნით მათამაშონ, ამით ხომ „ულქერიც" იხეირებს და მეც საქმეს გამიკეთებენ. თავის ქება არ მინდა, მაგრამ რამდენჯერაც შანსი მოუციათ, სათადარიგო მოთამაშეს რომ მოეთხოვება, იმაზე გაცილებით მეტი გამიკეთებია.

**— „პანათინაიკოსთან" ნამეტანი მოგივიდა...**

— 26 ქულა ჩემი საევროლიგო რეკორდია. აქამდე ყველაზე მეტი, 21 ქულა, შარშანწინ იტალიურ „სკავოლინისთან" გავაკეთე. ისე კი, ულქერული რეკორდი ვერ გავაუმჯობესე, შარშან თურქეთის თასის მეოთხედფინალშიც 26 ქულა დამიგროვდა.

**— „პანასთან" მატჩში ქულების გარდა სხვა სათამაშო მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალი გქონდა. ბლერი ევროლიგის საუკეთესო მომხსნელია, მაგრამ ხშირად ისიც ვერ აკეთებს 8 მოხსნას...**

— მოხსნების გარდა, მე უფრო სამი ჩაჭრილი ბურთი და ამდენივე შედეგიანი გადაცემა მახარებს. ევროპის ვარსკვლავებთან თამაშისას მხოლოდ ვარსკვლავებივე თუ ახერხებენ ასეთი მაღალი შედეგების მიღწევას. მაგრამ მე არ მაქვს ვარსკვლავობაზე პრეტენზია, წინ ჯერაც რთული გზაა გასავლელი.

**— ამ მატჩში შენი მეურვე იყო ევროპის კალათბურთის საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული ცენტრი ლაზარიოს პაპადოპულოსი, რომელიც ნბა-ს შარშანდელ დრაფტზე რომ არ აირჩიეს, თავადვე გაიკვირვე...**

— პაპადოპულოსი შარშან ზაფხულს, ნბა-ს დრაფტისწინა ვარჯიშებზე ვნახე ამერიკაში. ძალიან ძლიერი მოთამაშეა და ბევრსაც მოაწონა თავი, მაგრამ რატომღაც არც ერთმა კლუბმა არ აირჩია. მან გუშინწინდელ მატჩში 5 პერსონალური მიიღო ჩემს წინააღმდეგ თამაშში, ასევე პერსონალურების გამო გავარდა მოედნიდან ჩემი მეორე მეურვე, ამერიკელი დარილ მიდლტონი. ისე, „ულქერს" ეს მატჩი მხოლოდ ჩემი კარგი თამაშის წყალობით არ მოუგია, ყველამ მოვინდომეთ.

**— მატჩის შემდეგ რა ხდებოდა დარბაზში?**

— საფინალო სირენა და ყველა ჟურნალისტი ჩემთან მოვარდა, რას იტყვიო. რა უნდა მეთქვა, ეიფორიაში ვიყავი. ისე კი, ერთი რამ მქონდა სათქმელი, მწვრთნელს წინა მატჩებშიც რომ ამდენი ხნით ვეთამაშებინე, ახლა უკეთესად ვიბურთავებდი-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. ამის თქმა ჩემგან არ იქნებოდა ლამაზი.

— ქომაგებიც გაიხარებდნენ...

— არავის ეგონა, „პანათინაიკოსს" თუ მოვუგებდით. ჩვენ ხომ ჯგუფში ყველა თამაში წავაგეთ. ბერძნებს კი ოთხთა ფინალში გასვლის პრეტენზია ჰქონდათ. ეს მატჩი რომ მოეგოთ, ბოლო ტურში „სიენას" ათენში ძლევით ჯგუფიდან გავიდოდნენ, მაგრამ...

მაყურებლები უზომოდ ბედნიერები იყვნენ, თითქმის ყველა ჩემს სახელს გაჰყვიროდა.

**— საუბრის დასაწყისში თქვი, თუ ასე გავაგრძელებ, ჩემს ადგილს მოვნახავო. ალბათ ნბა-ში თამაშს გულისხმობდი.**

— სწორედაც, ნბა-ში თამაში ხომ ჩემი მთავარი მიზანია. ამ მატჩის შემდეგ თურქებიც ალაპარაკდნენ ამაზე. შინ რომ მოვედი, ამ მატჩის ჩანაწერს ვუყურე, სადაც თურქი კომენტატორები ამბობდნენ, ფაჩულია ნბა-ში აპირებს წასვლას და თუ ასე მოხდა, „ულქერისთვის" ამაზე ცუდი არაფერი იქნებაო. ახლა გაახსენდათ ჩემი ნბა-ში წასვლა? სათადარიგო სკამს რომ ვიყავი მიჯაჭვული, მაშინ არავის ვახსოვდი.

**— ახლა, როცა ხეირიანად ათამაშდი, ნბა-ში შენი გადაბარგების ალბათობა უფრო გაიზარდა. წლეულს მიიღებ დრაფტში მონაწილეობას?**

— კონკრეტულად რამეზე საუბარი ახლა არ მინდა. სეზონი მთავრდება, „ულქერსაც" უფრო მნიშვნელოვანი მატჩები ელის და ამჟამად მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ეს შეხვედრებიც მაღალ დონეზე ჩავატარო. „პანათინაიკოსთან" მატჩით ჯერ მხოლოდ იმ სახლის კედლები ავაშენე, ნბა რომ ჰქვია, დარჩენილ თამაშებში კი მის გადახურვას შევეცდები.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვეღარ არის ჯორდანი პლეი-ოფიცერი




— 9 აპრილი —

**სან ანტონიო 84:79 პორტლენდი**
**ფინიქსი 112:89 დალასი**
**იუტა 94:73 ჰიუსტონი**
**სიეტლი 100:92 მინესოტა**
**ვაშინგტონი 83:87 ბოსტონი**
**ორლანდო 88:82 ტორონტო**
**ატლანტა 97:92 ნიუ ჯერსი**
**დეტროიტი 111:102 ჩიკაგო**
ძირითადი დრო 95:95
**მილუოკი 112:92 კლიპერსი**
**ნიუ ორლეანი 100:81 კლივლენდი**

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება და რაც უფრო ახლოვდება პლეი ოფი, მით უფრო შეინიშნება ნბა-ში ფაცაფუცი. ყველა დაძაბულია და ყველას სადღაც ეჩქარება, ვისაც ექვსთვიანმა მარათონმა სეზონის ბოლოს წონსვლის სტიმული შეარჩინა. რეგულარული ჩემპიონატის დასაზე ორი კონფერენციის ორი ცხრილი გარკვეულწილად ჩამოყალიბდა, გუნდები ასე თუ ისე დალაგდნენ სიძლიერის მიხედვით, თუმცა ადგილთა გადანაწილება ჯერაც გრძელდება და სანამ ასეა, არ დაკარგავს ინტერესს რეგულარული სეზონი, რომელიც ჩვენში დარჩეს და, ასეთი გაწელილი სახით დიდად მოსაწყენი რამაა.

მაშ ასე, კიდევ უფრო დაიძაბა კონფერენციის ლიდერობისთვის ბრძოლები. დასავლეთში, სადაც აშკარად უფრო ყოჩაღი გუნდები შეყრილან, გუშინწინ ყოჩი შეიცვალა. „დალასმა", რომელიც პირველი მატჩებიდან დღემდე უცვლელად პირველობდა თავის კონფერენციაში და სრულიად ნბა-შიც, 9 აპრილს ფინიქსში სამარცხვინოდ წააგო და იმავე დღეს „პორტლენდის" მძლეველ „სან ანტონიოს" იძულებით გადაულოცა ტახტი. თუ ამ ორის სადღეისო სათამაშო ფორმას გავითვალისწინებთ, დავასკვნით, რომ მოწინავეთა პირველი სამსეზონო ცვლა იქნებ საბოლოოც იყოს. „სან ანტონიო" ჯიუტად მისდევდა „დალასს" და როცა ამან შეცდომებს უხშირა, ჩასაფრებულმა მდევარმაც არ დაახანა. „დალასმა" კი ერთობ ცუდ დღეში ჩაიგდო თავი, ის ერთბაშად მესამე ადგილამდე დაქვეითდა, რაკი კონფერენციაში მეორე ადგილი გარანტირებული აქვს წყნარი ოკეანის დივიზიონის პირველადგილოსან „საკრამენტოს". საზოგადოდ „დალასისთანა" ყოჩაღი გუნდისთვის არც მესამე ადგილი იქნებოდა ურიგო, მაგრამ თუ ცხრილი არ შეიცვალა, ტეხასელები პირველივე წრეში ეჯახებიან ჩემპიონ „ლეიკერსს", რომელიც უჩვეულოდ ქვემოთ კი დაეშვა, მაგრამ მაინც მრისხანე მეტოქეა და ეს „დალასსაც" არაერთხელ დაუმტკიცა.

ბევრი არც აღმოსავლეთში გადაწყდა. მანამდე მოლიდერე „დეტროიტმა" ტრავმის გამო დაკარგა მძლავრი ბენ ვოლესი და მასთან კონფერენციაში პირველი ადგილიც, თუმცა დეტროიტელებმა ბოლო შეხვედრაში გამარჯვება მოახერხეს და პირველობაში ჩაეზიარნენ მოულოდნელად დამარცხებულ „ნიუ ჯერსის".

გაცხარებული ბრძოლები მიდის ცხრილის შუაშიც. აღმოსავლეთის დახლზე ორი ვაკანტური საპლეიოფო საგზური ღა დარჩა, ერთი თითქმის გაინაღდა „ორლანდომ", ხოლო მეორეს მალე დაითრევს „მილუოკი", რომელმაც მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონი" დატოვა მშრალზე. ჯორდანს და მის რაზმს თეორიული შანსი დარჩენიათ, მაგრამ არ ჩანან მისი გამომყენებლები.

დასავლეთშიც მერვე საპლეიოფო ადგილისთვის დიდი დაკა-დაკაა და ამ არეულობაში გამოიკვეთა „ფინიქსი", რომელმაც, ალბათ ყველა კონკურენტზე მეტად დაიმსახურა პლეი ოფი, რაკი პრინციპულ თამაშებში მუხლი არ ეკვეთება. ახლაც სწორედ რომ ფინიქსელებმა შეარცხვინეს „დალას მავერიკსი".

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 48 | 30 | 61,5 |
| ნიუ ჯერსი | 48 | 30 | 61,5 |
| ფილადელფია | 46 | 31 | 59,7 |
| ინდიანა | 46 | 32 | 59,0 |
| ნიუ ორლეანი | 43 | 35 | 55,1 |
| ბოსტონი | 42 | 36 | 53,8 |
| ორლანდო | 40 | 38 | 51,3 |
| მილუოკი | 39 | 40 | 49,4 |
| ვაშინგტონი | 36 | 42 | 46,2 |
| ნიუ იორკი | 35 | 43 | 44,9 |
| ატლანტა | 32 | 46 | 41,0 |
| ჩიკაგო | 28 | 51 | 35,4 |
| ტორონტო | 24 | 54 | 30,8 |
| მაიამი | 24 | 55 | 30,4 |
| კლივლენდი | 15 | 63 | 19,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 58 | 20 | 74,4 |
| საკრამენტო | 57 | 22 | 72,2 |
| დალასი | 57 | 21 | 73,1 |
| პორტლენდი | 48 | 30 | 61,5 |
| მინესოტა | 48 | 31 | 60,8 |
| ლეიკერსი | 47 | 31 | 60,3 |
| იუტა | 46 | 33 | 58,2 |
| ფინიქსი | 42 | 36 | 53,8 |
| ჰიუსტონი | 40 | 39 | 50,6 |
| სიეტლი | 39 | 39 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 40 | 48,7 |
| მემფისი | 27 | 51 | 34,6 |
| კლიპერსი | 24 | 54 | 30,8 |
| დენვერი | 17 | 61 | 21,8 |

*შრიფტით აღნიშნული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

*ევროპელთა წლევანდელ ოლიმპიურ საქმიანობაში უმთავრესი ამ ზაფხულს პარიზში გასამართი კონტინენტის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალია. შორს აღარც ათენის ოლიმპიური თამაშებია, რასაც წელიწადზე ცოტა მეტილა გვაშორებს. ამიტომაც გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართული პრესკონფერენციის ძირითადი თემა სწორედ ეს ორი საკითხი გახლდათ.*

# ზოგი რამ კარგი და... ოხვრაც

## ხალხი ბჭობდა, სახელმწიფო...

**ჟურნალისტთა** კითხვებს სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და სპორტული დირექტორი კოტე ღლონტი პასუხობდნენ. თუმცა, ერთ კითხვას ოლიმპიურმა ჩემპიონმა რობერტ შავლაყაძემაც უპასუხა, რომელიც ამ პრესკონფერენციას ესწრებოდა.

მძლეოსნობაში კიდევ როდის გვეყოლება ოლიმპიური ჩემპიონი, ჰკითხეს რომის ტრიუმფატორს...

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, რობერტ შავლაყაძესა და ჯანო ბაგრატიონს ამ დღეებში საიუბილეო თარიღები ჰქონდათ. პირველი 70, მეორე კი 65 წლისა მოიყარა და პრესკონფერენციის მონაწილეებმა მათ ჯერ დაბადების დღე მიულოცეს, მერე კი კითხვა-პასუხებზე გადავიდნენ.

ითქვა, რომ ჩვენს ოლიმპიელებს ახლა მზადების გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე სიდნეის თამაშებისთვის ამავე პერიოდისთვის ჰქონდათ. ამის დასტურად გაიხსენეს, რომ ჩვენს ძიუდოისტებს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებს არცერთი შეკრება არ ჩაუგდიათ და არც რომელიმე შეჯიბრებას გამოკლებიან.

ამის წყალობით ჩვენი ძიუდოისტები ნესტორ ხერგიანი (60 კგ) და დავით მარგოშვილი (66) სალიცენზიო ტურნირების მერე თავთავიანთ წონით კატეგორიებში, სადაც მათ, შესაბამისად, 100 და 120 მეტოქე ჰყავთ, რეიტინგით ლიდერობენ. ამავე რეიტინგით ჯერჯერობით მესამე ადგილზე არიან ზურაბ ზვიადაური (90) და ივერი ჯიქურაული (100). ჩვენი დანარჩენი ძიუდოისტებიც ამ რეიტინგის ათეულში არიან, რაც ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად საიმედოდ ჩანს, თუმცა, ქულათა მარაგის შევსება და რეიტინგში დაწინაურება კიდევ შეიძლება.

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ჩვენი ოლიმპიელების პირობები, როგორც საშეჯიბრო და საშეკრებო, ისე საყოფაცხოვრებო, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა, რომელსაც მხოლოდ „ათენი 2004“-ის პროგრამით პირველ სამთვიურში 300 000 ლარი უკვე დაუხარჯავს. ამგვარ ფინანსურ უზრუნველყოფას სპორტის იმ ექვსი სახეობისა, რომლებისაც ყველაზე მეტად გვეიმედება, ფონდი კვლავაც გააგრძელებს. ამავე ფონდის წყალობით დღე-დღეზე შეიძენენ ტყვიის სროლისთვის განკუთვნილ 10 000-დოლარიან დანადგარს, რომელსაც ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე მთელ ათ წელიწადს ამაოდ ელოდა. ამავე ფონდის წყალობით იარაღს ყიდულობენ ჩვენი მშვილდოსნებისთვის.

რაც შეეხება ჩვენი ოლიმპიელების მზადებისთვის თავად სეოკ-ის ხარჯებს, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ თანხამ უკვე 100 000 ლარს მიაღწია.

გამოითქვა რწმენა, რომ ოლიმპიელთა მზადების დასაფინანსებლად 2 მილიონ ლარს გამოყოფს სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ დღეისთვის უკეთ აფინანსებს მათ, ვიდრე სასიდნეო ანალოგიურ პერიოდში იყო.

ოლიმპიელთა მზადებაზე, მათ სათენოდ ჩაცმა-დახურვაზე და სხვა საკითხებზე ჟურნალისტებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით, რადგან „სარბიელი“ ამ პრობლემებზე არაერთხელ წერდა. ამიტომ ახლა ყურადღებას გავამახვილებთ პარიზში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პრესკონფერენციაზე კოტე ღლონტმა შეგვახსენა, რომ ამ თამაშებზე, რომელსაც აქამდე ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები ერქვა, საქართველოს წარმომადგენლები ტრადიციულად კარგად გამოდიან. უკვე გამართული შვიდიდან ექვს ასეთ ასპარეზობაში, რომლებშიც ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საქართველოს დელეგაციამ 24 მედალი მოიპოვა.

ითქვა, რომ წლევანდელ ფესტივალზე 47 ქვეყნის სამიათასამდე წარმომადგენელს ელიან. საქართველოს 28-კაციანი დელეგაცია 8 ძიუდოისტით, 4 მძლეოსნით, 2-2 ტანმოვარჯიშით და ველოსიპედისტით იასპარეზებს, პროგრამაში კი სულ სპორტის ათი სახეობა იქნება...

ბოლოს რობერტ შავლაყაძის პასუხი იმ კითხვაზე, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ნეტავ სხვა რამ იოლი გეკითხათო, ამოოხვრით თქვა ჩემპიონმა და იქვე დასძინა, როცა ქვეყანაში სოციალური პირობები გაუმჯობესდება, როცა გვექნება მძლეოსნური სექტორები, მერე იქნებ მართლაც გავიხაროთ ოლიმპიური მედალოსნებითო.

სამწუხაროდ, ასეთი პესიმისტური პასუხები არა აქვთ ჩვენს სხვა სახეობათა წარმომადგენლებს, რომლებიც წამყვან ძალად ითვლებიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



დავით მარგოშვილი



ნესტორ ხერგიანი

ავტორბოლა

# დღეს გადაწყდება, გახსნას თუ არა ფიზიკელამ შამპანური



**გასულ კვირას** ავარიულ-სკანდალურ ვითარებაში მოპოვებული ბრაზილიის დიდი პრიზი შეიძლება, კიმი რაიკონენს დღეს ჩამოართვან და ჯანკარლო ფიზიკელას გადასცენ.

რბოლის შემდეგ შექმნილ საჩოთირო სიტუაციას დღეს პარიზში, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ხელმძღვანელობა საგანგებო სხდომაზე გაარჩევს. შეგახსენებთ, სან პაულუს „ინტერლაგუშზე“ რბოლა ვადამდე შეწყდა ესპანელ ფერნანდო ალონსოს საშინელი ავარიის გამო. ჰოდა, FIA-ს წეს-კანონებით გამარჯვებულად გამოცხადდა ის, ვინც წინა სრული წრის დასრულებისას ლიდერობდა (ესე იგი რაიკონენი) და არა ფიზიკელა, რომელმაც წითელი დროშის გამოფენამდე რამდენიმე წამით ადრე გაასწრო კონკურენტს.

ამბობენ, რბოლის ქრონომეტრაჟში შეცდომა გაიპარაო — ჯირითის შეწყვეტისას ფიზიკელას მორიგი წრე უკვე დაწყებული ჰქონდა და რბოლის შედეგებიც ახალი მონაცემების მიხედვით უნდა დაფიქსირდეს, ანუ მის სასარგებლოდ.

აქ მეორე თავსატეხიც გაჩნდა — თუ ძველი ვერდიქტი დარჩება ძალაში, გამოდის, რომ პილოტებს მთელი დისტანციის 75 პროცენტის გავლა ვერ მოუსწრიათ, ასეთ შემთხვევაში კი რაიკონენს და მის მომდევნო შვიდეულს განახევრებული ქულები უნდა დაერიცხოთ, ხოლო თუ დღევანდელი განაჩენი ფიზიკელას სასარგებლო აღმოჩნდება, მაშინ იმ პროცენტების საკითხი აღარ დადგება და 30 წლის ჯანკარლო თავის რვაწლიან საფორმულო კარიერაში პირველ მოგებას და სრულ ათ ქულას იზეიმებს.

ჩოგბურთი



დიდი სლემის შემსრულებელ სერენა უილიამსს საგანგებო თასი ებოძა

# ანა ერთხელაც გაიჭიმა

**THE FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**პირველი წრე**

**კონჩიტა მარტინესი (15, ესპანეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:4, 1:1 კურნიკოვამ შეწყვიტა**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:3, 6:0; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:4, 3:6, 6:4; ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია) — მაია მატევზიჩი (სლოვენია) 6:1, 6:4; ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) — ელენა ბოვინა (9, რუსეთი) 6:2, 6:2; ამანდა კუცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2, 7:6 (7:4); მეგენ შონესი (11, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:1), 6:7 (5:7), 6:4; პაოლა სუარესი (არგენტინა) — ანა პისტოლეზი (12, ისრაელი) 7:5, 6:1; ელენა დემენტიევა (13, რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 3:6, 7:5, 6:1; ნატალი დეში (14, საფრანგეთი) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:1, 6:4; კლარისა ფერნანდესი (16, არგენტინა) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:1, 6:4; ჯილ კრეიბასი (აშშ) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:3**

წინა დღეს წვიმის გამო უგოგმანებელი სერენა უილიამსი მადაგასკარელ რანდრიანტეფის იოლად და რამე-რუმედ გაუსწორდა. ეს მისი მე-18 საამსეზონო გამარჯვება იყო და — შეხსენება არ გჭირდებათ — ქალთა ამქრის დედამსუყე წლეულს ჯერ არავისგან... ძლეულა.

რანდრიანტეფისთან ბურთაობამდე WTA-ელმა მამებმა სერენას თათარიახნად დამზადებული თასი უფეშქაშეს. თასი „სერენას სლემს“ ეძღვნება და იმის კვლავაღსანიშნად შეიქმნა, რომ უმცროსი შავდა დღესდღეისობით ოთხივე სლემტიტულის მფლობელი გოგოცუნაა.

სხვაფრივ:

იმ დღეს საქმეში ჩაება ტურნირის მეორმეჩოგნე ჟუსტინ ენენ-არდენიც და სლოვენიელ ტინა პისნიკთან სამი სეტი იდავიდარაბა.

წლეულს მეექვსე შეხვედრა დაიწყო და მეხუთედ ჩაიფლავა ანა კურნიკოვამ, რომელსაც ბარაქიანი სხეულის ერთ-ერთი ნაწევარი რომც არ დასჭიმოდა, კონჩიტა მარტინესი მაინც ჩინებულად გაჭიმავდა.

დღის მოულოდნელობებად კი განთესილთა — ბოვინასა (9) და პისტოლეზის (12) და შარშანდელი უნებური ჩემპიონის, ივა მაიოლის გავარდნა იქცა. ბოვინა ამომავალმა ამერიკულმა სექსდავლათმა ეშლი ჰარკლროუდმა აოტა, პისტოლეზის არგენტინელი სუარესი მოერია, მაიოლი კი სათნო ელენა დემენტიევას ემსხვერპლა.



ანა კურნიკოვა

**ESTORIL OPEN**
**ეშტორილი. თიხნარი**
**კაცები**
**საპრიზო 525 ათასი $**

**პირველი წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) 6:3, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:1, 6:0**

**მეორე წრე**

**ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:1, 6:3; ტომი რობრედო (ესპანეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:3, 6:1**

რუსმა დავიდენკომ ეშტორილური თიხნარიდან იმ დღეს ჰოლანდიელი იურისტმეჩოგნე შალკენი დაიფრინა და ამის მერე ტურნირი სამი მთავარგანთესილის გარეშე დარჩა. შეგახსენებთ, რომ წინა და იმისწინა დღეებში იქიდან ირჟი ნოვაკი (1) და რაინერ შიუტლერიც (2) გააბუნძულეს.

რაც შეეხება ირაკლი ლაბაძეს, ევგენი კაფელნიკოვს ის პირველად შეხვდა. ვაგლახ — მათი პირველი შეხლა ქართველისთვის წარუმატებელი გამოდგა.

**ქალები**
**140 ათასი $**

**პირველი წრე**

**კატარინა სრებოტნიკი (1, სლოვაკეთი) — არანჩა პარა (ესპანეთი) 6:4, 6:4**

**მეორე წრე**

**ვირჟინი რაზანო (3, საფრანგეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:4**

**GRAND PRIX HASSAN 66**
**კასაბლანკა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**პირველი წრე**

**ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 4:6, 6:4, 7:5**

**მეორე წრე**

**ჰიშამ არაზი (მაროკო) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:0; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) 7:5, 6:4; ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — ლუის ორნა (პერუ) 6:7 (4:7), 6:3, 6:4**



შალვა და რამაზ ფალიანების ბრძოლებს ალბათ დონ კინგი მოაწყობს

# დონ კინგი ქართველებს კონტრაქტზე ელაპარაკება

**გაზაფხულის** ერთ მშვენიერ დღეს ქართველ მოკრივეებს რამაზ და შალვა ფალიანებს სახლში, ფილადელფიაში მოსაწვევი მიუვიდათ — ისინი დაპატიჟებულნი იყვნენ ტუა-რაჰმანის ბრძოლაზე, დამპატიჟებელი კი არც მეტი არც ნაკლები თვით დონ კინგი, საკრივო სამყაროს ყველაზე შემძლე და გაქნილი საქმოსანი გახლდათ.

ცხადია, წავიდნენ ძმები იმ მატჩზე, რომელიც 30 მარტს გაიმართა და ბრძოლას დონ კინგის ამალაში ჩამსხდრებმა უყურეს, ხოლო მას შემდეგ, რაც რინგი დაიცალა, ფიცარნაგზე უკვე ძმები იდგნენ დონ კინგთან ერთად და სურათებს იღებდნენ. აი, სურათიც...

დონ კინგისთანა კაცი რომ დროს უქმად არ დაკარგავს და უმიზნოდ პოზირებას არ დაიწყებს, იოლი მისახვედრია. საკრივო სამყაროს ყველაზე ცნობილი პრომოუტერი თურმე ქართველებით დაინტერესებულა და აწი თავად უმფარველებს რამაზ და შალვა ფალიანებს, აგრეთვე კობა გოგოლაძეს, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩავიდა ფილადელფიაში. კინგს ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი ქართველებთან. ჯერჯერობით ის ამის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ძმების პირად აგენტ მაიკლ მაიკლთან, თუმც ის უკვე გარკვეულია, რომ რამაზ ფალიანი და კობა გოგოლაძე 2 მაისს ჩაატარებენ 6-რაუნდიან სარეიტინგო ბრძოლებს. ხოლო შალვა ფალიანი ერთი დღის შემდეგ, 3 მაისს აგრეთვე სარეიტინგო, ოღონდ 4-რუნდიან ბრძოლას გამართავს.





ტიმ მონტგომერი და მარიონ ჯონსი შვილს ელიან

# მარიონ ჯონსი სირბილ-სირბილ დაფეხმძიმდა

**სამგზის** ოლიმპიური ჩემპიონი, პირმშვენიერი მარიონ ჯონსი და მისი აგრეთვე ჩაუქი მძლეოსანი ბოიფრენდი ტიმ მონტგომერი აგვისტოში გასამართ მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებენ.

ჯერაც დაუქორწინებელ მსოფლიოში უსწრაფეს წყვილს საამისოდ ფრიადი გამამართლებელი მიზეზი აქვთ — ივლისში ისინი თავიანთი სიყვარულის ნაყოფს, ბავშვს ელიან.

„ყოველთვის გვინდოდა, რომ იდეალური ოჯახი გვქონოდა და ამისთვის მარტო შვილი გვაკლდა. ახლა პატარაც შეგვეძინება და დარწმუნებული ვარ, ეს ოცნებაც აგვისრულდება" — თქვა ტიმ მონტგომერიმ, რომელსაც იდეალური ოჯახი კი სურს, მაგრამ რატომღაც ჯონსთან თანაცხოვრების დაკანონებას არ ჩქარობს. „ხელს მოვაწერთ თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ორივეს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. რას დავარქმევთ ახალშობილს? ეს ჯერ საიდუმლოა, ისევე როგორც მისი სქესი. რა თქმა უნდა, რენტგენმა გვიჩვენა ბიჭი იქნება თუ გოგო, მაგრამ მოდით, ეს ჩემი და ტიმის საიდუმლოდ დარჩეს" — განაცხადა მარიონმა, რომელმაც 2002 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე 100, 200 და 400 მეტრზე სპრინტში ოქროს მედლები მოიპოვა.

ჯონსი თავდავიწყებით ემზადება დედობისთვის და თავისი გეგმები აქვს: „მე და ტიმმა მოვილაპარაკეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვტოვებთ და მთელ დროს ჩვენს შვილს დავუთმობთ. მერე რას იზამს ტიმი, არ ვიცი, მე კი გადავწყვიტე, ათი თვით ჩამოვშორდე სარბენ ბილიკს და პატარა დამოუკიდებლად ავზარდო. მე არ მჭირდება ძიძა."

**გიორგი ქაგანიშვილი**



# შედეგი, რომელიც ვიცოდით

## უელსმა, რა თქმა უნდა, დაგვამარცხა

**გუშინ გვიანღამ** პარიზში და მის შემოგარენში დაწყებულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი და ამავდროულად მერვედფინალური მატჩი 7:24 წააგო უელსთან და საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი დაკარგა.

ჩვენს ჭაბუკებს ახლა ისღა დარჩენიათ, რომ ელიტარული 16 გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლონ, რათა მომავალ წელს ისევ უძლიერესებში ითამაშონ. საამისოდ ჩვენებს ერთი მატჩის მოგებაც ეყოფათ, ასეთია ტურნირის ფორმატი. ტურნირი კი ყოველწლიურად იმართება და ყველა ადგილი თამაშდება.

ახლა ჭაბუკი ბორჯღალოსნები 9-16 ადგილებისთვის იბრძოლებენ. მათი მომავალი მეტოქე კანადა იქნება რომელიც ტურნირის მასპინძელ საფრანგეთთან 7:41 განადგურდა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენებმა, იტალიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მე-10 ადგილი დაიკავეს.



NHL სტენლის თასი. პირველი წრე

ოთხ მოგებამდე





REUTERS ფოტოები

ალექსეი იაშინს ოტავაში არც ქომაგები სწყალობენ და ყინულზეც არ ეფერებიან

# ოტავა იაშინის ბოლმით გასკდა

*დაიწყო პლეი ოფი და მერე როგორ! მეტი რა სენსაცია უნდა მომხდარიყო, ორივე კონფერენციის ლიდერმა წააგო, თანაც საკუთარ ყინულზე*

— 9 აპრილი —

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ოტავა | 0 |
| აილენდერსი | 1 |

**ოტავა 0:3 აილენდერსი** *0:2 0:1 0:0*

**0:1 სკაჩარდი (8), 0:2 იაშინი (12), 0:3 ბეიტსი (30)**

მავანმა ფანმა მატჩის წინ სტადიონის მოსადგომებთან მდგარი მანქანა დაამსხვრია, რომელსაც ალექსეი იაშინის სახელი და მისი სათამაშო ნომერი — 79 ეხატა. ამის გამკეთებელმა იცოდა, რომ მოთამაშე, რომელიც ადრე მის საყვარელ გუნდში თამაშობდა, ახლა კი „აილენდერსის" რიგებშია, ყველაზე სახიფათო იქნებოდა მათთვის. მათდა სამწუხაროდ და გადარეული ქომაგისგან განსხვავებით, თავად ოტაველმა ჰოკეისტებმა ბოლომდე ვერ გააცნობიერეს ეს. პირველი პერიოდის შუაგულში პიტერ შეფერმა იაშინის წინააღმდეგ წესები დაარღვია და საჯარიმოთა სკამზე აღმოჩნდა, ხოლო რუსმა გოლით დასაჯა მეტოქე. ამ დროს ანგარიში 2:0 გახდა და სწორედ იაშინის შაიბამ გატეხა „სენატორები". ბოლო პლეი ოფში ოტავამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თითქოს გადაგვავიწყა, რომ იგი არასათასო გუნდად ითვლებოდა. ნუთუ თავიდან იწყება ამ გუნდის კოშმარი?

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 1 |
| ბოსტონი | 0 |

**ნიუ ჯერსი 2:1 ბოსტონი** *1:0 1:0 0:1*

**1:0 ლანგენბრუნერი (16), 2:0 ლანგენბრუნერი (32), 2:1 ბერარდი (44)**

შარშან ლანგენბრუნერი ნიუ ჯერსიში რომ გადავიდა, ახალი ბოსები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ საპლეიოფო ბრძოლაში, მაგრამ ჯემიმ ვერ გაამართლა. ახლა კი მისმა ორმა გოლმა მოაგებინა „ეშმაკებს". ნაღვლიან წარსულზე და ახლანდელ სიხარულზე თავადაც ილაპარაკა: „მე მაშინ საზიზღრად ვთამაშობდი. გახსენებაც კი არ მინდა. ახლა კი ის გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა" — აღტაცებული იყო ჰოკეისტი. ოთხშაბათს ეს ერთადერთი შეხვედრა გამოდგა, სადაც გამარჯვება მასპინძელს ანუ უფრო მაღლა ნომრად განთესილ გუნდს ხვდა წილად.

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 0 |
| ტორონტო | 1 |

**ფილადელფია 3:5 ტორონტო** *1:2 2:1 0:2*

**0:1 მოგილნი (9), 1:1 უეინრიჩი (10), 1:2 მოგილნი (13), 1:3 დოგი (24), 2:3 ბრაშირი (26), 3:3 დეფარდენი (27), 3:4 რენბერგი (55), 3:5 მოგილნი (60)**

ფილადელფიის გენერალურმა მენეჯერმა მატჩამდე თქვა შარშან ჩვენმა გუნდმა იმიტომ წააგო, რომ მთავარი მწვრთნელი ბილ ბარბერი ბიჭებს გულზე არ ეხატებოდათ, ახლა კი სულ სხვაგვარადაა საქმე და კენ ჰიჩკოკის შეგირდები აჩვენებენ ტორონტოს, ვინ არის ფავორიტი ამ წყვილში. „მფრინავები" ეგებ ჰიჩკოკს გულში ისვამენ, მაგრამ თავად მთავარი მწვრთნელი რა ხასიათზე იქნება? გუნდს, რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში ორ გოლს უშვებდა ერთ მატჩში, 24-ე წუთამდე სამი შაიბა გაუტანეს. მართალია, მესამე შემთხვევით, რიკოშეტის შემდეგ გავიდა, მაგრამ ორი ნამდვილად მასპინძელთა დაცვის სინდისზეა. ჯერ „მფრინავებს" რიცხვმრავლობაში კონტრშეტევა გაეპარათ და მათს სუნდინის (ტორონტოს კაპიტანი ტრავმის შემდეგ დამცავი ნიღბით გამოვიდა) ზუსტი პასის შემდეგ ალექსანდრ მოგილნიმ შანსი არ გაუშვა ხელიდან. „ალექსანდრ მრისხანემ", სოლო რეიდის შემდეგაც გაიტანა. კიდევ კარგი, რომ მესამე გოლი ტაი დოგიმ შეაგდო. ტორონტოელთა მთავარი ჩხუბისთავის გოლმა მისი მუდმივი მეტოქე დონალდ ბრაშირი გააცხარა და სწორედ ამ შავკანიანმა გიგანტმა გამოაცოცხლა გუნდი.

მეორე პერიოდის დარჩენილმა ნაწილმა ფილადელფიის სრული უპირატესობით ჩაიარა, ანგარიშიც გათანაბრდა, მაგრამ, ეტყობა, ამ ზეწოლამ სიქა გააცალა მასპინძლებს და ბოლო მესამედში ტორონტომ მაინც გატეხა მეტოქე. მოგილნიმ ცარიელ კარშიც გაიტანა და ამის წყალობით ჰეთ თრიქი შეასრულა.

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| დალასი | 0 |
| ედმონტონი | 1 |

**დალასი 1:2 ედმონტონი** *1:0 0:2 0:0*

**1:0 მოდანო (9), 1:1 რ. სმიტი (24), 1:2 პორკოფი (28)**

მარტი ტურკო პირველივე გამოცდაზე ჩაიჭრა. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ პირველ საპლეიოფო თამაშში ორი სულელური გოლი გაუშვა და ედმონტონელებს ის ოცნება აუსრულა, რასაც 1997 წლის შემდეგ სიზმარში თუ ნახავდნენ. მოგეხსენებათ, ეს გუნდები ლამის ყოველ სეზონში ეჯახებოდნენ ერთმანეთს და აგერ, უკვე 6 წელია, ედმონტონმა წინ ნაბიჯი ვერ წადგა. იქნებ შურისძიების ჟამი დადგა.

თავად ტურკო გაწბილებული იყო მატჩის შემდეგ და თქვა, თითქოს არ ვნერვიულობდი, მაგრამ რა დამემართა, ახლაც არ ვიცი.

**სამველ ღარიბიანი**




REUTERS

# სხვა

ჯენინი იორდანეს დასავლეთი სანაპირო. აქ სხვა ბეისბოლია და სხვანაირი ცხოვრება. პალესტინელი ბიჭი ქვას უშენს ებრაულ ტანკს. სამიზნე დიდია და ღონიერი, ხოლო [illegible] ნაცნობი. სპორტი არაფერ შუაშია, უბრალოდ, ამგვარი მოძრაობით ერთნი თამაშობენ, მეორენი კი იბრძვიან.



REUTERS

# რაიონში ეპიდემიაა



REUTERS

ასეა, როცა აზიაში მიემგზავრები. სამხრეთ აფრიკის მოკრიკეტეთა ნაკრები ბანგლადეშურ ტურნეს იწყებს, იოჰანესბურგის აეროპორტში კი ექთან რებეკა იულეს ნემსები მოუმარაგებია. მწარე ნემსია, ყოველ შემთხვევაში, მაკაია ნტინი ყვირის. აზიაში იდუმალი ჰონკონგური ვირუსი დაძრწის.

# ხიფათა

წყლის ფრისტაილი ხიფათა სპორტია, მაგრამ იტალიელი ფედერიკო ბუფაკი მსოფლიო ჩემპიონია. რომიდან 20 კილომეტრის მოშორებით, ოსტიაში, ის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება და ახალ, ჯერ უნახავ ილეთებში გაწაფვას ლამობს.

REUTERS



# ვაუ!

დიდი ხმაური იყო ახლახან ლივერპულში, სადაც ეინტრის განთქმული დოღი გაიმართა და ეროვნული დიდი პრიზიც გათამაშდა. ეს გოგოები განთქმული ინგლისური სერიალის გმირის, პეტსის პარიკებით მოსულან დოღზე, რომელიც, სხვათა შორის, სარეკორდო მეფსონეობითაც აღინიშნა. კანტორებში 235 მილიონი დოლარი შევიდა.

# ჩხუბი თამაშზე

პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ლიბერტადორესის თასის მატჩს იქაურ „ოლიმპიასა“ და არგენტინის „ხიმნასია ი ესგრიმას“ შორის გულშემატკივართა ჩხუბი მოჰყვა. „დეფენსორეს დელ ჩაკოს“ სტადიონზე დაკადაკა ლაპლატელმა სტუმრებმა წამოიწყეს და პოლიციამაც თამამად დაატრიალა ხელჯოხები.




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა იმასი-რიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გიგაურაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოცხაძე, მალხაზ ჭკუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge